# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 19 მარტი 2008 №061 (3285) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მინუს-პლუსი ეროვნულისთვის

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე გუშინ დამტკიცებულ, თუმც ჯერაც უკონტრაქტო კლაუს ტოპმიოლერს ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩისთვის სამი ფეხბურთელი გამოაკლდა. მალხაზ ასათიანი ტრავმის, გოგიტა გოგუა და დავით სირაძე კი სავიზო პრობლემების გამო ვერ შეეწევიან ეროვნულ გუნდს.

უჩა ლობჟანიძე, სანდრო კობახიძე და ბექა გოცირიძე — ეს კი ის ფეხბურთელები არიან, ტოპმიოლერს შემადგენლობა რომ უნდა შეუვსონ.



## ანატოლი პისკოვეცი: მე ნავედი

3



## ადრიანო გალიანიმ შემთხვევით ისარგებლა და ლევან მჭედლიძეს გამოელაპარაკა

4

# ახალი მოთამაშე ქართულ ფეხბურთში

## ფედერაციამ თავდასხმაში პროკურატურა გამოიძახა



# დინამო და ბორჯომი ბოლო ორი ფინალის წინააღმდეგ

## სტატისტიკა გვამცნობს: ელოდეთ იგივეს

დინამო – ზესტაფონი ამერი – ბორჯომი



# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ნახევარფინალის წილისყრა

# რიგზე გაითვალეთ და... დაწყვილდით!


ამირან ლიბრაძე და დავით აბაშიძე

**საქართველოს** დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშებას ოთხი გუნდი შემორჩა. გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ეს ოთხეული დააწყვილეს და ნახევარფინალისთვის გაამზადეს.

წილისყრას პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ კაკულია უძღვებოდნენ. წილისყრისას არანაირი განთესვა არ ყოფილა — გუნდების წარმომადგენლები იმ რიგით მივიდნენ ლოტოტრონთან, როგორც ჩემპიონატის მიმდინარე ცხრილში არიან განლაგებულნი.

დებულების თანახმად, პირველ ნომერს მეორე ხვდებოდა, მესამეს — მეოთხე.

და ერთიც: კენტნომრიანი პირველ მატჩს მასპინძლობდა.

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ყველამ ის ციფრი ამოიღო, რომელიც რიგით უწევდა.

საბოლოოდ გუნდები ნახევარფინალში ასე დაწყვილდნენ:

8 აპრილი
**დინამო — ზესტაფონი**
9 აპრილი
**ამერი — ბორჯომი**

საპასუხო მატჩები 7 მაისს გაიმართება, ფინალი კი 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე.

ვის მოეწონა წილისყრის ასეთი შედეგები და ვის არა, გუნდების წარმომადგენლების კომენტარებით შევიტყობთ...

***ამირან ლიბრაძე, „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი:*** ცხადია, შესაძლებელი იყო, უფრო სუსტი მეტოქე შეგვხვედროდა, თუმც წილი უკვე ნაყარია და ვერსად გავექცევით. ვფიქრობ, მაყურებელი ორ საინტერესო და ლამაზ მატჩს ნახავს. შევეცდებით, ფინალში ჩვენ ვითამაშოთ.

***დავით აბაშიძე, „ზესტაფონის“ გენერალური დირექტორი:*** უკეთესი იქნებოდა, „დინამოს“ ფინალში შევხვედროდით. ჩვენი ერთი უპირატესობა ისაა, რომ მეორე მატჩს შინ ვთამაშობთ და შევეცდებით, ეს გამოვიყენოთ. ზედიზედ სამი წაგებული ფინალის შემდეგ მეოთხის მოგებას ვაპირებთ.

***ვახტანგ ბზიკაძე, „ამერის“ გენერალური მენეჯერი:*** ნახევარფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს. ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ „ბორჯომმა“ მეორე წრე ცუდად დაიწყო. ჩვენი მეტოქე კარგი გუნდია და საინტერესო ბრძოლა გველის. თუმც არ იფიქროთ, რომ მთელი ყურადღება თასზე გვაქვს გადატანილი — ჩემპიონატშიც გავაგრძელებთ ბრძოლას.

***ვახტანგ მაისურაძე, „ბორჯომის“ გენერალური დირექტორი):*** კარგია, რომ ნახევარფინალში თასის მფლობელს შევხვდით, საინტერესო მატჩები იქნება. ამ ეტაპზე „ამერი“ გვერჩივნა, თუმც შანსებს მაინც 60/40-ზე შევაფასებდი მეტოქის სასარგებლოდ. ნახევარფინალში პირველად ვართ და თუ მეტს შევძლებთ, სასიამოვნო იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


თასის წილისყრა პირველად გადაიცა პირდაპირ ეთერში

## წყვილთა ისტორია

### დინამო - ზესტაფონი
+3 =4 -4 10:8

**საქართველოში** სულ ორი გუნდია, „დინამოსთან“ ოფიციალურ ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი რომ აქვს — „ზესტაფონი“ და „ამერი“.

ჩემპიონატსა და თასზე „დინამო“ და „ზესტაფონი“ აქამდე თერთმეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. „დინამომ“ მათგან 3 მატჩი მოიგო, 4 ფრედ დასრულდა და ოთხიც წააგო. ბურთების შეფარდება 10:8 თბილისელთა სასარგებლოდ და დინამოელები მეტოქეს მხოლოდ ამ კომპონენტებით სჯობნიან.

დაპირისპირებების ისტორია კი 2004 წელს „დინამოს“ ორი გამარჯვებით დაიწყო — ორივე თამაში 2:0 დამთავრდა. იმავე სეზონში (მაშინ უმაღლესი ლიგა 4-წრიანი იყო) ზესტაფონელებმა კბილები გამოაჩინეს და მეტოქე თბილისშივე დაამარცხეს გოჩა სულაკაძის ულამაზესი გოლით.

იმ სეზონის მეოთხე მატჩი 0:0 დასრულდა.

ეს იყო და, „ზესტაფონი“ „დინამოსთან“ მიმდინარე სეზონის პირველი წრის ბოლო ტურამდე აღარც დამარცხებულა. ეს ბოლო მატჩი კი, რომელიც „დინამომ“ „ეროვნულზე“ დავით დიღმელაშვილის და მიხეილ ხუციშვილის გოლებით მოიგო, იმერელთათვის საბედისწერო გამოდგა — „ზესტაფონმა“ ლიდერობა დაკარგა.

იქამდე კი... წინა სეზონში „დინამო“ 2:1-ს იგებდა და ბექა გოცირიძემ მეორე წამატებულ წუთზე გაათანაბრა. 2005-06 წლების სეზონში პირიქით იყო, „ზესტაფონი“ იგებდა 2:1-ს და დინამოელმა მიხეილ ბობოხიძემ გაათანაბრა 90-ეზე.

ხოლო, რასაც ჰქვია, სკანდალური, მათი სათასო დაპირისპირება გახლდათ. 2005-06 წლების სეზონში ეს გუნდები მეოთხედფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. ზესტაფონში მასპინძლებმა ზურაბ იონანიძის გოლით 1:0 მოიგეს, თბილისში კი, „მიხეილ მესხზე“, თამაში 0:0 დასრულდა. ნამატჩევს გაწევ-გამოწევაც იყო — მსაჯმა დინამოელ სანდრო იაშვილს გოლი არ ჩაუთვალა.

### ამერი - ბორჯომი
+4 =0 -3 10:7

**„ამერის“** და „ბორჯომის“ დაპირისპირებათა ისტორია 7 ოფიციალურ მატჩს ითვლის, მათი უახლოესი შეხვედრა კი ზეგ არის — ჩემპიონატის მე-18 ტურში ბორჯომელები გლდანს ესტუმრებიან.

აქამდე ჩატარებული შვიდივე მატჩი ჩემპიონატისა იყო, ოღონდ მათგან ორი პირველი ლიგის, ხუთიც — უმაღლესის. სხვათა შორის, „ამერი“ და „ბორჯომი“ ერთად ავიდნენ უმაღლეს ლიგაში სამი სეზონის წინ. მაშინ „ამერი“ პირველი ლიგის ჩემპიონი გახდა, „ბორჯომი“ კი მეორეზე გავიდა. ისიც გავიხსენოთ, რომ იმ სეზონში ცხრილს ბოლო ტურამდე „ბორჯომი“ ლიდერობდა და იმ ბოლო ტურში სწორედ „ამერთან“ დამარცხების მერე დაუთმო „ყვითლებს“ პირველი ლიგის ჩემპიონობა. ის ბოლო ტურის მატჩი „ამერმა“ 2:1 მოიგო, პირველი წრის მატჩშიც ამერელებმა იმარჯვეს — 4:0. ეს თამაში გორში, „ქართლზე“ ჩატარდა, რაკი იმხანად ბორჯომში სტადიონი მზად არ იყო.

მომდევნო სეზონებში, უკვე უმაღლეს ლიგაში, ბორჯომელები „ამერს“ შინ, „ჯემალ ზეინკლიშვილზე“ მასპინძლობდნენ. იქ მათი სამი თამაში ჩატარდა და სამივე ბორჯომელებმა მოიგეს — 2:1, 1:0 და 3:0.

ამათგან 1:0 ანგარიშით დასრულებული თამაში გამოვარჩიოთ. იმ მატჩამდე, 2007 წლის 31 მარტამდე, ჩემპიონატში შესვენება იყო და „ამერი“ აზერბაიჯანში გახლდათ შეკრებაზე, სადაც ბორჯომის მსგავს ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ჩაატარა ამხანაგური მატჩები. მაგრამ შეკრება ამაო გამოდგა — „ბორჯომმა“, როგორც მოგახსენეთ, 1:0 მოიგო და სწორედ იმ მარცხის შემდეგ დაკარგა „ამერმა“ ჩემპიონობის პრაქტიკული შანსი.

ასე თუ ისე, „ყვითლებისთვის“ „ჯემალ ზეინკლიშვილი“ მეტისმეტად უხერხული სტადიონია და ეს გაფრთხილება უნდა იყოს წყვილში ფავორიტად მიჩნეული ამერელებისთვის.

სამაგიეროდ, თბილისში, „ამერზე“ „ბორჯომი“ აქამდე მუდამ მარცხდებოდა ხოლმე. საპირველლიგო 2:1 უკვე ვახსენეთ, მომდევნო ორი თამაში კი „ამერმა“ 1:0 და 2:0 მოიგო.

რომ შევაჯამოთ, „ამერს“ 4 მატჩი აქვს მოგებული, „ბორჯომს“ — 3. ბურთების შეფარდება 10:7 თბილისელთა სასარგებლოდ. ყველაზე მეტი, 4 გოლი კი ამერელ სულიკო დავითაშვილს აქვს გატანილი, ორი გორში და თითოც ორივე საშინაო მატჩში.

**კოტე ქექელია**

### ინგლისი
ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
კოლჩესტერი 1:3 ჰალი
ვულვზი 2:1 სკანთორპი
I ლიგა
გადადებული მატჩები
როვერსი 0:2 სუონსი
ჰადერსფილდი 2:1 ბრაიტონი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ძროული 2:1 კემბრიჯი
ფორესტ გრინი 1:2 იორკი
ჰისტონი 3:2 ებსფლიტი
ნორსვიჩი 2:2 ვეიმუთი

### შვეიცარია
სუპერლიგა. XXVI ტური
ლუცერნი 0:3 იანგ ბოისი
სენტ გალენი 0:0 ძსამაძსი

### იტალია
სერია B. XXXI ტური
ალბინოლეფე 3:3 აველინო
ასკოლი 1:1 მესინა
ბარი 0:0 ჩეზენა
ბრეშა 0:0 ლეჩე
ფროზინონე 0:1 ტრიესტინა
გროსეტო 1:0 მანტოვა
მოდენა 1:1 ვიჩენცა
პიაჩენცა 4:2 პიზა
რავენა 1:1 კიევო
რიმინი 4:2 სპეცია
ტრევიზო 0:2 ბოლონია

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
კიკერსი 2:0 პფულენდორფი
თასის ნახევარფინალი
დორტმუნდი 3:0 კარლ ცაისი

### საფრანგეთი
თასის მერვედფინალი
პსჟ 2:1 ბასტია
დიჟონი 3:1 ტუარი
სედანი 2:0 ანჟერი
ლიონი 2:1 სოშო

### ჰოლანდია
თასის ნახევარფინალი
ფეიენოორდი 2:0 ბრედა

### ბელგია
თასის ნახევარფინალი
I მატჩი
სტანდარდი 2:2 გენტი

### შოტლანდია
II დივიზიონი
გადადებული მატჩები
კოუდენბითი 2:4 ძუინზ პარკი
როსი 0:0 ბრეჩინი
III დივიზიონი
გადადებული მატჩები
ალბიონი 1:1 სტრანრარი
დამბარტონი 1:0 სტენჰაუზმური
ასოციაციის თასი
მეოთხედფინალი
გადათამაშება
სელტიკი 0:1 აბერდინი
სენტ მირენი 1:3 სენტ ჯონსტონი

### ავსტრია
ბუნდესლიგა. XXX ტური
რაპიდი 2:0 აუსტრია

### თურქეთი
თასის ნახევარფინალი
I მატჩი
რიზე 0:3 ძაისერი

### პოლონეთი
ლიგის თასი
ნახევარფინალი. I მატჩი
გროცლინი 3:0 გურნიკი



# ოოო... საქმე სერიოზულადაა! ფედერაციამ ჩამწყობები პროკურატურაში გაუშვა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომა გაიმართა და საინტერესო ამბით დამთავრდა — აღმასკომმა საქართველოს ჩემპიონატში შესაძლო ჩაწყობილ-გარიგებული მატჩების გამოძიება გენერალურ პროკურატურას სთხოვა და დღეიდან ამ საქმეს სწორედ პროკურატურა მიხედავს. აღმასკომის საგანგებო სხდომაც ჩაწყობილ-გარიგებულ მატჩებზე სასაუბროდ და ამის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებების მოსაძიებლად მოიწვიეს. სხდომამ დაახლოებით სამ საათს გასტანა, შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენცია გამართა და ეს თქვა:

— აღმასკომის დღის წესრიგში სამი საკითხი იყო, თუმცა ამათგან ორი ფორმალობა უფრო გახლდათ. აღმასკომმა დაამტკიცა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები და ფედერაციის ახალ სუბიექტად მიიღო ახალშექმნილი ბიჩ-სოკერის ასოციაცია. ეროვნული გუნდის მწვრთნელად, რა ახალია, კლაუს ტოპმიოლერი დავამტკიცეთ და მასთან ახალ კონტრაქტს უახლოეს დღეებში გავაფორმებთ. ტოპმიოლერის თანაშემწეები იქნებიან რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი, მინგე კი, პარალელურად, ტექნიკური დირექტორიც იქნება. 19-წლამდელები, როგორც აქამდე ვამბობდით, ზაურ სვანაძემ ჩაიბარა, მას გოჩა ჩიქოვანი და დავით გვარამაძე დაეხმარებიან, ხოლო 17-წლამდელებს გელა შეყილაძე გაწვრთნის, მისი თანაშემწეები ლევან ხომერიკი და ასლან ბალაძე არიან. 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელ პეტარ სეგრტს კი მოქმედი კონტრაქტი აქვს და ეს საკითხი არც განხილულა...

...ბიჩ-სოკერის ასოციაცია ახლახან შეიქმნა და უპრობლემოდ მივიღეთ ფედერაციის სუბიექტად. ახლა კიდევ ერთი ნაკრები გვეყოლება, რომელიც უკვე გაისიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს. შესარჩევი ტურნირი მარსელში გაიმართება და ჩვენი მეტოქეები ინგლისი, იტალია და ესტონეთი იქნებიან. სულ შესარჩევ ეტაპზე ევროპის 24 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას და სასიხარულოა, რომ მათგან ერთი საქართველოც არის. ევროპის ზონის შესარჩევი ჯგუფებიდან ორი-ორი გამარჯვებული და პლუს ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანი მერვედფინალში დაწყვილდებიან, მერე იქნება მეოთხედფინალები და ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება. ევროპულ ზონაში სულ ექვსი შესარჩევი ჯგუფია...

...ახლა კი მთავარი, ის, რისთვისაც აღმასკომის საგანგებო სხდომა მოვიწვიეთ. აღმასკომამდე ჩვენ სერიოზული სამუშაო ჩავატარეთ შესაძლო ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებით, მოვიპოვეთ გარკვეული ინფორმაცია, შევაგროვეთ სათანადო მასალები და ახლა გადავწყვიტეთ, რომ შემდგომი რეაგირებისთვის და ამ ამბების გამოსაძიებლად საქმე პროკურატურას გადავცეთ. ეს მასალები ხვალვე პროკურატურაში იქნება. ჩვენ საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი, შესაძლოა, ჩაწყობილი იყო და მომავალშიც შეიძლება, რაიმე ამგვარი მოხდეს. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, პირადი ინტერესების გამო ქართული ფეხბურთის იმიჯი შელახოს და ამიტომაც ახლა შესაძლო გარიგებულ მატჩების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას ვიწყებთ. რისი უფლებაც ჩვენ არ გვაქვს, პროკურატურას აქვს და თუ კი რამ დადასტურდება, პროკურატურა ამას სამართლებრივ შეფასებას მისცემს...

...გასაგებ მიზეზთა გამო კონკრეტულად ვერ დავასახელებ იმ მატჩებს, რომლებზეც ეჭვი გვაქვს, რომ ჩაწყობილი იყო. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რასაც ვერ დავარღვევთ. პროკურატურის გამოძიების შემდეგ კი ყველაფერი გაირკვევა...

...ვერც შესაძლო სანქციებზე გეტყვით ვერაფერს, ღმერთმა ნუ ქნას, სისხლის სამართლის დანაშაულამდე მივიდეს პროკურატურა. ისე კი, ყველას გეხსომებათ, იტალიაში ამგვარ საქმეებში მონაწილე გუნდები როგორც დასაჯეს. მოკლედ, ჩვენ თვალებს ველარ დავხუჭავთ და ჩვენი მხრიდან სანქციებიც ადეკვატური იქნება.

*ფედერაციის პრეზიდენტმა საეჭვო მატჩები არ დაასახელა, თუმცა ჩვენ ხომ გვახსოვს ის თამაშები, რომლებიც მართლაც საეჭვო იყო და ამის თაობაზე გაზეთებშიც დაწერილა და საფეხბურთო სამყაროშიც ბევრჯერ თქმულა. ასეთი მატჩები არის ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურის „ბორჯომი“ — „ბათუმისა“ (1:2) და საქართველოს თასის მეოთხედფინალის „ბორჯომი“ — „დილას“ (2:3, 3:1) შეხვედრები. „ბათუმიც“ და „დილაც“ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერები არიან და ადგილის შესანარჩუნებლად ქულები სჭირდებათ. ითქვა, რომ თასზე წაგებული მატჩის სანაცვლოდ „ბორჯომმა“ „დილას“ ჩემპიონატში სამი ქულა უნდა უბოძოსო...*

*ვნახოთ, რას იტყვის პროკურატურა...*

**კობა ინასარიძე**

# მინუსი: ასათიანი, გოგუა, სირაძე. პლუსი: ლობჟანიძე, კობახიძე, გოცირიძე

**საქართველოს** ნაკრები 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიას შეხვდება. ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა საოლსტერო შემადგენლობა სამი დღის წინ დაასახელა, თუმც კორექტივების შეტანა მაინც მოუხდა...

ნაკრების დანაკლისი მეკარის გარდა ყველა რგოლს შეეხო — მცველ მალხაზ ასათიანს წელი აწუხებს და მისი ჩრდილოირლანდიელებთან თამაში ამ მიზეზით გამოირიცხა. სამაგიეროდ, ჯანზე არიან ნახევარმცველი გოგიტა გოგუა და თავდამსხმელი დავით სირაძე, თუმც 26 მარტს ვერც ისინი ითამაშებენ. მიზეზი კი რუსულია — ნალჩიკის „სპარტაკის“ ფეხბურთელებს ჯერ არ აქვთ სამუშაო ვიზა, რის გამოც მათ უახლოეს მომავალში რუსეთის საზღვრებს გარეთ გასვლის უფლება არ აქვთ.

ტოპმიოლერმა ბრიტანელებთან მატჩისთვის ამ სამეულის შემცვლელები სასწრაფოდ მოძებნა — ასათიანს ზესტაფონელი უჩა ლობჟანიძე შეცვლის, გოგუას — დნიპროელი სანდრო კობახიძე, ხოლო სირაძეს — ზესტაფონელი ბექა გოცირიძე.



შეგახსენებთ: მატჩი 26 მარტს ბელფასტში, „უინძორ პარკზე“ გაიმართება და თბილისის დროით, 23.45 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ანატოლი პისკოვეცი: მე გუნდიდან წავედი!

**რუსთავის** „ოლიმპი“ საქართველოს ჩემპიონი რევაზ ძოძუაშვილის მწვრთნელობისას გახდა. შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ ძოძუაშვილთან თანამშრომლობა აღარ ისურვა და ვარლამ კილასონია დაინიშნა. მისი დამოძღვრილი „ოლიმპი“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახურ „ასტანას“ გადაეყარა (0:0, 0:3) და ევროთასს დაემშვიდობა...

მალე მე-19 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. პირველივე ტურში რუსთავს თბილისის „დინამო“ ესტუმრა და „ოლიმპი“ 1:0 დაამარცხა, რაც კილასონიას არ აპატიეს და მოხსნეს. მომდევნო ტურში რუსთაულ გუნდს სათავეში უკრაინელი სპეციალისტი ანატოლი პისკოვეცი ჩაუდგა.



პისკოვეცი საკმაოდ ემოციური კაცი გამოდგა, მალე „ოლიმპს“ თავისი ხელიც დაატყო, თუმც გუნდს სტაბილურობა კი აკლდა.

„ზესტაფონი“ — „ოლიმპის“ მატჩის (2:1) შემდეგ პისკოვეცმა სკანდალური განცხადება გააკეთა და მსაჯს სათვალის ყიდვა ურჩია. გასახდელში კი მთავარ დამნაშავედ მეკარე მიხეილ ალავიძე დაასახელა.

გაბრაზებულმა ალავიძემ კარის შუშას დასცხო ხელი და რამდენიმე ნაკერიც დასჭირდა. ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, პისკოვეცს შევეხმიანეთ და გუნდის შიდა სამზარეულოში ჟურნალისტები რატომ ერევითო, მკვახედ გვიპასუხა. საკმაოდ ცხარე საუბარი გამოგვივიდა, თუმცა უკრაინელს მასმედიასთან ხისტი დამოკიდებულება მერე აღარ გაუგრძელებია...

რაში დაგვჭირდა ამ ამბების გახსენება? გუშინ შევიტყვეთ, რომ ანატოლი პისკოვეცი უახლოეს დღეებში „ოლიმპიდან“ წავა.

ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად თავად პისკოვეცს შევეხმიანეთ...

— როგორც შევიტყვეთ, „ოლიმპის“ დატოვებას აპირებთ, ეს სიმართლეა?

— დიახ, საკითხი ასე დგას.

— კლუბის ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილო თუ სხვა მიზეზია?

— ხელმძღვანელობას წასვლის თაობაზე მე მივმართე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დედას და მეუღლეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ. ოჯახი კი ჩემთვის უმთავრესია.

— კლუბის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა თქვენი თხოვნა?

— პასუხს ხვალ მეტყვიან.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრიანო გალიანიმ შემთხვევით ისარგებლა და ლევან მჭედლიძეს გამოელაპარაკა



ორი კვირაც და, ლევან მჭედლიძე სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებს. შეგახსენებთ: საქართველოს ნაკრების 17 წლის თავდამსხმელი დაახლოებით ერთი თვის წინ, იტალიური „ემპოლის“ სარეზერვო გუნდში თამაშისას მძიმედ დაშავდა და მას შემდეგ უქმობს. ლევანს გუშინ იტალიაში დავუკავშირდით და პირველ რიგში, ცხადია, ჯანმრთელობის ამბები გამოვიკითხეთ...



## ქართველი ვუნდერკინდი მილანზე კი არა, ემპოლიზე ფიქრობს

— ყველაფერი კარგად მიდის, უკეთესობას ვგრძნობ და ალბათ 14-15 დღეში გუნდსაც შევუერთდები.

**— ინდივიდუალურად უკვე ვარჯიშობ?**

— კი, დავიწყე და ნელ-ნელა დატვირთვებსაც ვუმატებ, მაგრამ ახლა სიჩქარე არ შეიძლება და ექიმების რჩევებს სრულად ვითვალისწინებ.

**— და რას გეუბნებიან ექიმები?**

— კმაყოფილები არიან. სარეაბილიტაციო პერიოდი ძალიან კარგად მიდის. ადრევე მითხრეს, სულ ცოტა, თვენახევარი დასჭირდება მკურნალობასო და ზუსტად თვენახევარში შემეძლება დატვირთვების მიღება. რამდენიმე დღის წინ იტალიის ნაკრების ექიმმაც გამსინჯა და ისიც კმაყოფილი დარჩა, ყველაფერი კარგადააო.

**— კლუბის ხელმძღვანელობისგან ყურადღებას თუ გრძნობ?**

— კი, რა თქმა უნდა. აქ ყველასგან ყურადღებას ვგრძნობ. ახლაც „ემპოლის“ შეკრებაზე უნდა შევუერთდე...

**— ეს რას ნიშნავს?**

— 19 მარტს „ემპოლი“ ტურინის „იუვენტუსს“ ხვდება და ამ თამაშისთვის მოსამზადებლად შეკრებაზე გადადის.

**— კი მაგრამ, შენ რა შუაში ხარ?**

— ხელმძღვანელებმა და მწვრთნელებმა მითხრეს, გუნდთან ერთად იყავიო. მეც საწინააღმდეგო რა მაქვს... აქ სულ ცდილობენ, რომ „ემპოლის“ არ დავშორდე და გუნდის სრულუფლებიან. წევრად ვიგრძნო თავი. ასე რომ, „იუვენტუსთან“ მატჩისწინა შეკრებაზე მეც ვიქნები...

**— ხელმძღვანელობის ასეთ ნაბიჯებში ისიც ხომ არ იკითხება, რომ მათ გასაშვებად არ უნდიხარ და ცდილობენ, თავი კომფორტულად იგრძნო?**

— ვერ გეტყვი... ფაქტია, რომ ასეა და თქვენც ხომ იცით, რამდენიმე კლუბს უკვე უარი რომ უთხრეს ჩემს მიყიდვაზე...

**— არადა, ამასობაში „ემპოლიც“ დაეშვა ცხრილში და უკვე ბოლოსწინა ადგილზეა...**

— ეგ არაფერი. მე-15 ადგილთან სულ რაღაც ორ ქულას ვაგებთ და მჯერა, ლიგიდან არ გავვარდებით. ახლა ორი რთული თამაში გვაქვს, მერე კი კონკურენტებს ვხვდებით და სწორედ იმ მატჩებში უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი. აქ გავარდნაზე არავინ ფიქრობს...

**— „ემპოლი“ — „მილანის“ მატჩის წინ სერბენ ბილიკებზე კახა კალაძე ნახე...**

— ჰო, მოთელვიდან გასახდელში მიმავალ კახას სარბენ ბილიკზე დავხვდი, თბილი შეხვედრა გვქონდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ... ჩემი ფეხის ამბავი გამომკითხა და მალევე დავშორდით...

**— „მილანიდან“ კიდევ ერთ საინტერესო ვინმეს შეხვედრიხარ...**

— ვერ მივხვდი, ვის გულისხმობ...

**— „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის...**

— ასე იყო, თუმცა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა...

**— მაინც საინტერესოა, რა გითხრა...**

— ჯერ მომესალმა, როგორ ხარო, მერე კი ტრავმაზე მკითხა...

**— და ამაში რაიმე განსაკუთრებულს საერთოდ ვერ ხედავ?**

— აბა, წინასწარ რამე როგორ ვთქვა, არ ვიცი, მგონი, ჯერ არ მაქვს მსგავსი ფიქრის მიზეზი...

**— ჰო, მაგრამ მაინც დამაინტრიგებელია, რომ ერთ-ერთი გრანდის ხელმძღვანელი შენი ამბებით დაინტერესდა...**

— შოტლანდიასთან გატანილი გოლით იტალიაში ყველამ გამიცნო და ამიტომ ასეთი რამეები არ მიკვირს. მაშინ ყველა არხი ჩემს გოლს ატრიალებდა და ყველა გაზეთი ჩემზე წერდა — შოტლანდიის დამარცხებით ხომ გზა იტალიას გავუხსენით. ვფიქრობ, გალიანიც იქიდან მიცნობს და მომავალში რა იქნება, ამას ველარ გეტყვით...

**— კეთილი. „ემპოლის“ დავუბრუნდეთ — თუ, ღმერთმა ქნა, და ყველაფერი კარგად წავიდა, ამ სეზონში დებიუტს მოასწრებ?**

— ამის დიდი იმედი მაქვს. როგორც მეუბნებიან, ბოლო ოთხი მატჩისთვის მწყობრში უნდა ვიყო და ვნახოთ... იმედია, ყველაფერი კარგად იქნება...

კახა შალამბერიძე

# რუსებმა სლოვენია შეიამხანაგეს

**ევროპის** ჩემპიონატის 2009 წლის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მეტოქე რუსეთი 26 მარტს სლოვენიის ნაკრების სტუმრად ამხანაგურად გაეჯიბრება.

რუსეთის მთავარმა მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა სლოვენიელებთან მატჩისთვის გუნდი უკვე შეკრიბა. სტუკალოვის სამწყსო დომჟალეში მცირე დანაკლისით ჩავა — ძიუბა, ეფიმოვი და შიშკინი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ.

სლოვენიელებთან მატჩისთვის სტუკალოვმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერა:

*მეკარეები:* *სოსლან ჯანაევი (სპარტაკი), ანტონ შუნინი (დინამო), მაქსიმ შუმაილოვი (ამკარი);*

*მცველები:* *დმიტრი იატჩენკო (ნალჩიკი), ვლადიმირ გრანატი (დინამო), ფიოდორ კუდრიაშოვი, სერგეი პარშივლიუკი (ორივე სპარტაკი), კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), ნიკიტა დენისოვი (ლოკომოტივი), ივან ტარანოვი (კრილია);*

*ნახევარმცველები:* *ვიქტორ ფაიზულინი (ზენიტი), კირილ კომბაროვი, დმიტრი კომბაროვი (ორივე დინამო), ალექსანდრ რიაზანცევი (რუბინი), ოლეგ სამსონოვი (ნალჩიკი), პაველ გოლიშევი (მოსკვა);*

*თავდამსხმელები:* *ალექსანდრ პრუდნიკოვი (სპარტაკი), ნაზირ კაჟაროვი (ნალჩიკი), ფიოდორ სმოლოვი (დინამო).*

მიხეილ ქორქოლიანი

## თქვენი ინტერვიუ

## ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

*რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. ჰკითხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...*



მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

# სეგრტმა ლატვიასთან მომავალი გამოიძახა



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები 25 მარტს ლატვიას ამხანაგურად მასპინძლობს და ჩვენების მწვრთნელმა პიტერ სეგრტმა გუშინ საამმატჩო შემადგენლობა გამოაცხადა...

***მეკარეები:*** *გიორგი ლორია (დინამო), მიხეილ ალავიძე (ლოკომოტივი);*

***მცველები:*** *დავით მჭედლიშვილი (ამერი), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ნავალოვსკი (ანჟი, რუსეთი), გიორგი ელბაქიძე (ამერი), ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), ზაზა ქაჯაია (ვავრა), ზურაბ გვაძაბია (ამერი);*

***ნახევარმცველები:*** *მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), დავით დევდარიანი (ოლიმპი), მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია);*

***თავდამსხმელები:*** *რევაზ ბარაბაძე (ანჟი, რუსეთი), ირაკლი შეყილაძე (ემპოლის აკადემია, იტალია), ვახტანგ ფანცხავა (ლე მანი, საფრანგეთი), ზვიად კუტალია (მგლები), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი), ზაურ ხაჭიპერაძე (მალაროელი), გიორგი ივანიშვილი (ციურიხი, შვეიცარია).*

ლატვიასთან მატჩი რომელ სტადიონზე და რომელ საათზე დაიწყება, ჯერ ზუსტად უცნობია, თუმცა, როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, შეხვედრას ალბათ „ამერის“ სტადიონი უმასპინძლებს და 16 საათზე დაიწყება.

გუშინვე კი ახალგაზრულის თავკაცმა მოახლოებულ მატჩთან დაკავშირებით თქვა:

— ლატვიასთან მატჩისთვის რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოვიძახე და რამდენიმეც ისეთი, რომლებიც ახალგაზრდულის ასაკის ფეხბურთელებზე 3-4 წლით უმცროსები არიან. ჩვენ უკვე დავიწყეთ მზადება მომავალი შესარჩევი ციკლისთვის და გვსურს, რომ ჭაბუკები, მაგალითად, ივანიშვილი, ფანცხავა, შეყილაძე და მირცხულავა, ახალგაზრდულ ნაკრებს გაუშინაურდნენ და სამომავლოდ გუნდში ადგილი დაიმკვიდრონ. ლატვიასთან რამდენიმე დებიუტანტი იქნება — დევდარიანი „ოლიმპიდან“, ხაჭიპერაძე „მალაროელიდან“, კუტალია „მგლებიდან“ — მათ თავის გამოჩენის საშუალებას მივცემთ. ახალგაზრდულის კარი ყველა ფეხბურთელისთვის ღიაა. სამწუხაროდ, ლატვიასთან ტრავმების გამო ვერ დაგვეხმარებიან ღვინიანიძე, მჭედლიძე და ალბათ ბჟალავაც. ლობჟანიძეს კი ეროვნულ გუნდში უხმეს. ისე, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს ახალგაზრდული გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში ცხრა ფეხბურთელი გამოიძახეს, ეს თვალსაჩინო ფაქტია იმისა, რომ სწორად ვმუშაობთ და განვითარების გზაზე ვართ. წლეულს უმთავრესი მატჩი მოსკოვში რუს თანატოლებთან გვაქვს და იმედია, ლატვიასთან გამოძახებული შემადგენლობიდან ბევრი ფეხბურთელი იმ შეხვედრაში გამოგვადგება. 25 მარტის მატჩისთვის შაბათს შევიკრიბებით, თუმც სრული შემადგენლობით ალბათ მხოლოდ თამაშის წინა დღეს ვივარჯიშებთ — შესაძლოა, ლეგიონერებმა დროულად ჩამოსვლა ვერ მოახერხონ და იმიტომ.

**ქობა ინასარიძე**

# პაჭელო ბათუმელია



გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე**, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე „ბათუმში“ ითამაშებდა. „პაჭელომ“ პირველი წრე იჯარით „ზესტაფონში“ გაატარა და 8 გოლით ახლაც ბომბარდირთა შორისაა, ახალი წლიდან კი თავის კლუბ მოსკოვის „ლოკომოტივს“ დაუბრუნდა, საიდანაც ასევე განათხოვრებით ჯერ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ გაუშვეს, შემდეგ როსტოვის სკა-ში. თითქოს „პაჭელოს“ რუსეთშივე უნდა გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ ისევ საქართველოში აღმოჩნდა...

— როგორც შევიტყვეთ, მეორე წრეში „ბათუმში“ ითამაშებ...

— ყველაფერი გადაწყვეტილია, სეზონის ბოლომდე „ბათუმში“ ვიქნები. საბუთები უკვე ჩამომივიდა და განაცხადშიც შემიყვანეს.

— „მერანთან“ ითამაშებ?

— ოფიციალურად, შემიძლია, მაგრამ ალბათ არ ვითამაშებ. უფრო „სპარტაკთან“ არის მოსალოდნელი ჩემი მოედანზე გასვლა.

— რატომ „ბათუმი“ და არა ისევ „ზესტაფონი“?

— „ბათუმში“ ჩემი ოჯახის ახლობელი მუშაობს. ახლა ამ გუნდს ძალიან უჭირს და მთხოვეს, დავხმარებოდი. მეც უარი არ მითქვამს.

— საქართველოში შენ არყოფნაში მეგოლე კონკურენტებმა გაგასწრეს. ისევ იბრძოლებ ბომბარდირობისთვის?

— ჩემი მოვალეობა გოლების გატანაა და რატომ დავიხევ უკან?! თუმც ახლა „ბათუმს“ ერთი მიზანი აქვს — უმაღლეს ლიგაში დარჩენა და ეს ჩემი გოლებით მოხდება თუ თანაგუნდელების, მნიშვნელობა არ აქვს.

— ყველაზე კარგად „ზესტაფონს“ იცნობ, მასაც ემუქრები?

— ჯერ „ბათუმი“ და მერე „ზესტაფონი“. აქვე მინდა, „ზესტაფონს“ წარმატება ვუსურვო „დინამოსთან“ თასის ნახევარფინალში.

— რუსეთს დავუბრუნდეთ. როგორც ვიცით, როსტოვში სამუშაო ვიზა არ მოგცეს...

— კი მომცემდნენ, მაგრამ ამას სამი-ოთხი თვე დასჭირდებოდა და ამ დროის ტყუილად გაცდენა არ მინდოდა. 8 მარტს გუნდს შეკრებაზე უნდა გავყოლოდი, 7-ში კი გამომიცხადეს, არ ხერხდებაო. „ლოკომოტივში“ დავრეკე და მათ მითხრეს, მოსკოვის სამუშაო ვიზას გაგიკეთებთ, როსტოვისას ვერაო. ამიტომ ვარჩიე საქართველოში დაბრუნება.

— ნოვოროსიისკშიც იგივე მოხდა?

— იქაც სამუშაო ვიზას ითხოვდნენ, თუმც რომც გაეკეთებულიყო, აღმოჩნდა, რომ ამ კლუბს ლეგიონერის დამატების ლიცენზიაც არ ჰქონდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შიმშილობის მეექვსე დღე და ახალი მოთხოვნა



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ექსკანდიდატი მამუკა კვარაცხელია უკვე 6 დღეა, პარლამენტის წინ კარავში ცხოვრობს და შიმშილობს.

გუშინ კვარაცხელიამ ჟურნალისტები მიგვიწვია და კიბეზე ჩამომჯდარმა პრესკონფერენცია ჩაატარა. პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ბევრჯერ ნათქვამი ერთხელაც გაიმეორა და ახალი მოთხოვნაც გააჟღერა: „ახალკაცს პირდაპირ ეთერში დებატებში ვიწვევ და მინდა, მთელ საქართველოს დავანახო, რას წარმოადგენს. ეს უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს, სანამ საუბარი შემეძლება. დღეს კიდევ ერთ სამარცხვინო ფურცელს მოეწერა ხელი — კლაუს ტოპმიოლერის კონტრაქტს ვგულისხმობ. როგორც გავიგე, ალმასკომის სხდომა იმართება, რომელიც ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლას ეხება. ფედერაცია ამის გამკეთებელი არ არის. ეს სხდომაც კიდევ ერთი ფარსი იქნება, როგორც 13 მაისს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. ზაზა ბეგაშვილი ამ მთავრობამ ჩინეთში ელჩად გაუშვა, მაგრამ იგი კვლავ ინარჩუნებს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს. ამაზე კი ფეხბურთის ფედერაცია არანაირ რეაგირებას არ ახდენს. ჩემი მოთხოვნაა, შეწყდეს მთავრობის ჩარევა ქართულ ფეხბურთში და გადადგეს ნოდარ ახალკაცი!“

**ნუკრი ლოლაძე**

# ვინ დახვდება საქართველოს

**26 მარტს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ბელფასტში ამხანაგურ მატჩს რომ გამართავს ჩრდილოეთ ირლანდიასთან, გეცოდინებათ.

კლაუს ტოპმიოლერმა საამმატჩო შემადგენლობა უკვე გამოაცხადა, გუშინ კი ჩრდილოირლანდიელთა თავკაცმა ნაიჯელ უორთინგტონმაც დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოსთან ამხანაგური მატჩისთვის მოემზადებიან.

***მეკარეები:*** *მაიკ ტეილორი (ბირმინგემი, ინგლისი), როი კეროლი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ალან მანუსი (ლინფილდი);*

***მცველები:*** *კრის ბერდი (ფულემი, ინგლისი), აარონ ჰიუზი (ფულემი, ინგლისი), სტივენ კრეგენი (მოზერუელი, შოტლანდია), გარეთ მაკოლი (ლესტერი, ინგლისი), ჯორჯ მაკარტნი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯონათან ევანსი (სანდერლენდი, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *სტივენ დევისი (რეინჯერსი, შოტლანდია), დამიენ ჯონსონი (ბირმინგემი, ინგლისი), სემი კლინგენი (ნოტინგემი, ინგლისი), კრის ბრანტი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), მაიკ ოკონორი (ქრიუ, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *დევიდ ჰილი (ფულემი, ინგლისი), კილ ლაფერტი (ბარნსლი, ინგლისი), მარტინ პატერსონი (სკანთორპი, ინგლისი), პიტერ ტომპსონი (ლინფილდი), უორენ ფიბი (კარდიფი, უელსი).*

**ბახა ზალამბერიძე**

# სპასოევიჩს ჩერნოგორიელ თანატოლებში დაუძახეს



**თბილისის** „დინამოს“ თავდამსხმელი ილია სპასოევიჩი ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. ჩერნოგორიას ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი 25 მარტს ირლანდიასთან სტუმრად აქვს და „დინამოს“ ლეგიონერიც ამ შეხვედრისთვის გამოიძახეს. ჩერნოგორია მე-3 შესარჩევ ჯგუფში თამაშობს, ირლანდიას კი შინ 1:0 უკვე მოუგო. სპასოევიჩი იმ მატჩისთვისაც იყო გამოძახებული და შეცვლაზე ითამაშა, ხოლო ახლა ალბათ ძირითადში იქნება — ჩერნოგორიელებს რამდენიმე ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის და ტრავმების გამო დააკლდებათ და ილიასაც ძირითადში თამაშის მეტი შანსი აქვს.

სპასოევიჩი შაბათს ცხინვალის „სპარტაკთან“ ითამაშებს და თავისიანებს ამის შემდეგ შეუერთდება.

„დინამოს“ ლეგიონერს მალე, შესაძლოა, ეროვნულშიც უხმონ.

**ქობა ინასარიძე**

# ასათიანს წელი მაინც არ უშვებს



**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მალხაზ ასათიანი რუსული პრემიერლიგის მეორე ტურში იაროსლავლის „შინიკის“ წინააღმდეგაც ვერ ითამაშებს...

„ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიში კი განვაახლე, თუმცა ჯერჯერობით მსუბუქად ვვარჯიშობ. სრულად არ გამოვჯანმრთელებულვარ, რადგან წელის არეში ტკივილს კიდევ ვგრძნობ. 22 მარტს იაროსლავლის „შინიკთან“ მატჩს გამოვტოვებ, ხოლო მესამე ტურში, სამარის „კრილია სოვეტოვთან“ ალბათ ვითამაშებ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ვიქნები“ — განაცხადა ასათიანმა.

შეგახსენებთ: დაშავებული ასათიანის გარეშე „ლოკომოტივმა“ ვერც რუსეთის სუპერთასზე იყოჩაღა სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ (1:2) და ვერც პრემიერლიგის პირველ ტურში, ყაზანის „რუბინთან“ (0:1).

**ქახა შალამბერიძე**



გიორგი განუგრავა (მარცხნივ) „სპარტასთან“ მატჩში

# განუგრავამ ჩეხეთი შეალო

**ამ ზამთარს** ქართველი ფეხბურთელებიდან ყველაზე საინტერესო და, შეიძლება ითქვას, ხმაურიანი ტრანსფერი გიორგი განუგრავას ჩეხურ „ბოლესლავში“ გადასვლა იყო. 20 წლის ნახევარმცველს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი ჩაუტარებია და მანამდე ყველა ასაკობრივი ნაკრებიც გამოიარა, მაგრამ ჩეხეთში გადასვლამდე წელიწადზე მეტი უგუნდოდ იყო.

განუგრავამ თავიდან ერთი-ორჯერ „ბოლესლავის“ მეორე გუნდში ითამაშა, ერთი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასიც მიითვალა, ძირითად გუნდში კი ოფიციალური დებიუტი ორშაბათს ჰქონდა — თანაც ჩეხეთის საუკეთესო გუნდ „სპარტასთან“.

ბოლესლაველები 1:0 უგებდნენ „სპარტას“, თუმც პირველივე ტაიმში ფეხბურთელი გაუძევეს და შესვენებაზე რომ წავიდნენ, უკვე 1:2 აგებდნენ. განუგრავა შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე, ერთხელ საზიფათოდ დაარტყა და მეკარემ აუღო, მერე კი მისი პასით, ივან ჰოდურმა ვერ იხეირა. საბოლოოდ, „განუს“ გუნდმა 1:4 დათმო და ჩეხეთის გამბრინუსლიგაში მეათე ადგილზე დარჩა.

აღსანიშნავია, რომ განუგრავა მეორე ქართველი ფეხბურთელია, ვინც გამბრინუსლიგაში უთამაშია. 1998-99 წლების სეზონში ბრნოს „ბუმანში“ გოჩა ტრაპაიძეს 5 მატჩი ჩაუტარებია.

**ილია ნანობაშვილი**

# სატურნს ამას არ ვაპატიებ
## გოგიტა გოგუას გოლი საბოლოოდ გაუუქმდა

**ნალჩიკის** „სპარტაკის“ ქართველ ლეგიონერ გოგიტა გოგუას ზოგი „სატურნის“ კარში გატანილ გოლს უთვლიდა, ზოგიც — არა.

გეხსომებათ, ნალჩიკში გოგუა სწორედ „სატურნიდან“ დაბრუნდა და მატჩის წინ გულშემატკივრებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ძალიან სურდა „სატურნის“ კარში ბურთის გატანა. ეტყობა, ეს სურვილი სტადიონის დიქტორსაც გადაედო და „სპარტაკის“ პირველი გოლი გოგუას მიაწერა, არადა, გოგუას იმ შეტევაში მონაწილეობა თურმე საერთოდ არ მიუღია — ჯარიმა ფილატოვმა ჩააწოდა და ბურთი არავის შეხებია, ისე შევიდა კარში.

დიქტორის შეცდომა ბევრ რუსულ ვებგვერდზე გავრცელდა, ფილატოვის გოლს კი გოგუაც ადასტურებს...

— ეტყობა, ყველაფერი იმისბრალია, რომ ჩვენი ნომრები ერთმანეთს ჰგავს: მე 7 ნომერი მაცვია, ფილატოვს — 17. სტანდარტულ სიტუაციებს კი სხვადასხვა ფლანგიდან ვასრულებთ. არა უშავს, „სატურნს“ მაინც გავუტან. ახლა კი ჩემი პატარა წვლილი მეორე გოლში არის...

— გინდათ, რაიმე დაუმტკიცოთ „სატურნს“?

— რა თქმა უნდა, მინდა დავუმტკიცო, რომ ტყუილად გამომიშვეს, თუმცა „სპარტაკში“ სიხარულით დავბრუნდი — ეს ჩემი გუნდია!

— 2000 წლის სეზონში ბაზაზე ცხოვრობდით, ახლა კი ნალჩიკში ბინას ეძებთ...

— დავოჯახდი და მალე აქ მეუღლეს ველოდები. ფეხბურთელისთვის ხომ ოჯახური სიმყუდროვე მნიშვნელოვანია... ევროპის ჩემპიონატისთვის უკვე მამა ვიქნები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გოგუამ (მარცხნივ) გოლი ფილატოვს მიულოცა

# ლევან გვაზა-ვააა!



**ნალჩიკელი** გოგიტა გოგუას გოლის ამბავი გაირკვა, ჩვენებურს არ გაუტანია, სამაგიეროდ, „ლუჩ-ენერგიას“ ნახევარმცველ ლევან გვაზავას „მოსკვას“ კარში გატანილ გოლს ვერავინ წაართმევს. არადა, ჩვენებურმა ისეთი გაიტანა, ტურის საუკეთესო გოლებში პირველ-მეორე ადგილები გაიყო ნალჩიკელ მაშუკოვთან ერთად.

ჟიური „სპორტ-ექსპრესის“ ხუთმა ჟურნალისტმა შეადგინა. მათი ხმები კი ასე განაწილდა: მაშუკოვი — 2 პირველი ხმა, 2 მეორე, ერთი მეოთხე; გვაზავა — 2 პირველი, ერთი მეორე, ორი მესამე.

საბოლოოდ, ორივემ ერთნაირი 20-20 ქულა მოაგროვა, თუმც პირველობა მაინც მაშუკოვს ერგო, რადგან მას მეტი მეორე ადგილი აქვს.

თუ ჟურნალისტებმა გვაზავა „დაჩაგრეს“, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელ ვიქტორ პონედელნიკის აზრით, გვაზავას გოლი სხვებს აშკარად სჯობდა...

— მე გვაზავას გატანილი ბურთი უფრო მომეწონა. ამ ნახევარმცველს წამის დაკარგვაც არ უფიქრია ბურთის დასამუშავებლად — ჰაერიდან დაარტყა და მეკარეს არანაირი შანსი არ დაუტოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართველმა ტერფის გარეთა მხრიდან დაარტყა. სწორედ ასე ასრულებენ დარტყმებს წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ვარსკვლავები — იტალიელები, არგენტინელები, ბრაზილიელები... ყოფილ საბჭოთა კავშირში ქართველებს ტყუილად არ ეძახდნენ საბჭოთა ბრაზილიელებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რას დაუტოვებს ბოლქვაძე სიმურგს?



**თბილისის** „ამერიდან“ აზერბაიჯანულ „სიმურგში“ იჯარით გადასულმა დავით ბოლქვაძემ მყარად მოიკიდა ძირითადში ადგილი და ზედიზედ სამი გოლი გაიტანა.

„სიმურგი“ კარგად ატარებს მეორე წრეს — მეხუთე ადგილზეა და ამაში ბოლქვაძის წვლილიცაა, თუმცა ჩვენებური მეტზეც ფიქრობს...

„მიზანი მეოთხე-მეხუთე ადგილის დაკავებაა, რათა ინტერტოტოს თასზე გასვლა გავინაღდოთ. ვფიქრობ, ამის ძალა შეგვწევს“ — განაცხადა ბოლქვაძემ.

ერთია, თუ „სიმურგი“ ინტერტოტოს თასზე გავა, იქ ბოლქვაძის გარეშე მოუწევს თამაში, რადგან ფეხბურთელი აზერბაიჯანში სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# C და 74 იმერელი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ქუთაისში, იმერეთის რეგიონში დასაქმებულ 74 მწვრთნელს C კატეგორიის ლიცენზიები გადასცა. დედაქალაქიდან ჩასულ სტუმართ საზოგადოება „ქუთაისელმა“ უმასპინძლა.

C ლიცენზიის კურსები იმერეთში შარშან ჩატარდა. მალე ეს პროცესი სხვა რეგიონებშიც დაიწყება და რამდენიმე თვეში 500-მდე C ლიცენზიის მქონე მწვრთნელი გვეყოლება.

„ლიცენზირების პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის მწვრთნელები, რომლებსაც არ ექნებათ C კატეგორიის ლიცენზია, უახლოესი მომავლიდან ფეხბურთში ვერ იმუშავებენ“ — განაცხადა ახალკაცმა.

ლიცენზიების გადაცემის ცერემონიალს იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვალერი მანაგაძეც დაესწრო.

**ქახა შალამბერიძე**



# მაურინიუ და თავპატიჟი

**ჟოზე მაურინიუ** სამომავლოდ, შემდეგი სეზონიდან „ბარსელონაში“ მწვრთნელობის ვარიანტით კმაყოფილი ჩანს, თუმცა, რახან იცის, რომ კატალონიურ გრანდში მის მისვლას ბევრი კრიტიკოსიც გამოუჩნდება, სხვა გუნდების შემოთავაზებებსაც ყურადღებით ეცნობა.

„გაისად „ბარსელონაში“ მუშაობას არ გამოვრიცხავ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემთან თანამშრომლობის მსურველ სხვა გუნდებს არ მოვუსმენ“ — უთხრა მაურინიუმ კალატოლიუნი „სპორტის“ ჟურნალისტს.

პორტუგალიელის თქმით, ის დამრიგებლად იმ კლუბში მივა, რომელშიც მის საფეხბურთო ფილოსოფიას და ცხოვრების წესს ეჭვის თვალით არ შეხედავენ. ვალენსიაში „ადიდასის“ სარეკლამო აქციაზე ჩასულმა მაურინიუმ განაცხადა: „ხშირად მეკითხებიან, მომავალ სეზონში „ბარსელონას“ მწვრთნელი ვიქნებით თუ არა. „ბარსა“ იქნება თუ სხვა რომელიმე კლუბი, მე იქ ვიმუშავებ, სადაც დამაფასებენ და ჩემს პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეეპარებათ. ნამდვილად არ მინდა, სეზონმა გულშემატკივრებთან და კლუბის თავკაცებთან კინკლაობაში ჩაიაროს“.

თუ საბოლოოდ „მაუმ“ მაინც „ბარსა“ აირჩია, „კამპ ნოუზე“ იდეალურ მხარდაჭერას, ალბათ, ვერ მიიღებს. კატალონიური ფანობის ნახევარს პორტუგალიელი არ უყვარს და კლუბის უფროსობაშიც მრავლად არიან ჟოზეს მოწინააღმდეგენი.

კიდევ ერთი ევროპული გრანდი, რომელიც პორტუგალიელის ხელში ჩასაგდებად თავგამოდებით იბრძვის, იტალიური „ინტერია“. ამ გუნდის პრეზიდენტი, მასიმო მორატი, გაისად ხომალდის საჭესთან ჟოზეს დაყენებას აპირებს. თუმცა მორატიმ მცირე ხნის წინ ისიც თქვა, რობერტო მანჩინი „ინტერის“ მწვრთნელად მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგაც დარჩებაო.

**ლადო ხომერიკი**





# პასუხი ეფენბერგს

**„ბაიერნის“** ყოფილმა კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა ბასტიან შვაინშტაიგერი გააკრიტიკა და მეორე დღეს პასუხი მიიღო.

ეფენბერგის აზრით, შვაინშტაიგერი უკან-უკან მიდის და მისთვის გუნდის გამოცვლა აუცილებელია: „დარწმუნებული ვარ, ზაფხულში სხვა გუნდში თუ გადავა, მისი კარიერა ისევ აღმა წავა. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგრესი გარდაუვალია. მომდევნო სეზონში „ბაიერნი“ ალბათ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და უნდა გაუშვას ის ფეხბურთელები, რომლებიც ვერ ვითარდებიან. ძალიან მეეჭვება, რომ შვაინშტაიგერმა ძველი ფორმა დაიბრუნოს. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია“.

შარშან ზაფხულს „ბაიერნმა“ ფრანკ რიბერი იყიდა, ფრანგმა გაიბრწყინა და შვაინშტაიგერიც დაიჩრდილა, მაგრამ ეფენბერგს ასე უპასუხა: „როგორც ფეხბურთელს, შტეფან ეფენბერგს პატივს ვცემ, მაგრამ როგორც პიროვნებას, არა. ჯიგარი თუ გაქვს, ასეთი რამ არ უნდა თქვა. თავად დიდი ხნის განმავლობაში უთამაშია „ბაიერნში“ და მისი ამგვარი კრიტიკა გაუგებარია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| კალიარი | : | ატალანტა |
| ნაპოლი | : | ფიორენტინა |
| ჯენოა | : | ინტერი |
| ემპოლი | : | იუვენტუსი |
| პარმა | : | პალერმო |
| ლივორნო | : | რეჯინა |
| ლაციო | : | რომა |
| მილანი | : | სამპდორია |
| კატანია | : | სიენა |
| ტორინო | : | უდინეზე |

# იტალია

# დონიმ რომას უკვე მოაგებინა

**„მილანთან“** რთული მატჩის მერე ჯერ კიდევ ჩემპიონობისთვის მებრძოლ „რომას“ მორიგი რთული გამოცდა ელის — დღეს, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „დერბი დელა კაპიტალეა“.

მერე რა, რომ „ლაციო“ „რომას“ მთელი 27 ქულით ჩამორჩება და სეზონი აშკარად ჩაუვარდა. ბოლო დროს მშვენივრად მოთამაშე „ბიანკოჩელესტი“ ყველაფერს გააკეთებს „გლადიატორთა“ გასამწარებლად.

ფორმალურ მასპინძლებს ლუჩანო ძაური, მასიმო მუტარელი, სიმონე დელ ნერო, ფაბიო ფირმანი და მობიდო დიაკიტე არ ეყოლება. „რომას“ კი მხოლოდ მარკო კასეტი დააკლდება.

„მნიშვნელობა არ აქვს, როგორ, მაგრამ ვიცი, რომ მოვიგებთ და ეს მთავარია. ახლა დერბიში გამარჯვება ძალიან გვჭირდება. ფორმალურად სტუმრები ვართ, მაგრამ მჯერა, ჩვენი ფანები არანაკლებ გაგვამხნევებენ და, როგორც ყოველთვის, გვერდზე დაგვიდგებიან. მოგებასაც პირველ რიგში სწორედ მათ მივუძღვნით“ — თქვა „რომას“ ბრაზილიელმა მეკარემ ალეშანდრე დონიმ.

„ინტერის“ გარშემო ბოლო დროს რამხელა აურზაურია, ალაბთ, კარგად იცით, მაგრამ ამჟამად იდეალური დროება არც „ჯენოას“ უდგას. „გრიფონიმ“ მიჯრით 3 მატჩი წააგო, მეათე ადგილამდე დაქვეითდა და ახლა უეფას თასის საგზურისთვის გაბრძოლება ძალიან გაუჭირდება.

ორივე გუნდის შემადგენლობა ფაქტობრივად, საბრძოლოა. სხვათა შორის, „ინტერის“ ლიდერ ზლატან იბრაჰიმოვიჩს სტატისტიკურად ყოველ 117 წუთში ერთხელ გააქვს გოლი და თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, მას გენუელებთან შეხვედრაში უწევს გატანა. ვნახოთ...

„ემპოლის“ ზედიზედ ოთხი წაგება აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა. „იუვენტუსთან“ საშინაო მატჩი შესაძლოა, ბოლო გამოდგეს ალბერტო მალეზანისთვის ტოსკანელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ამბობენ, „სტადიო კასტელინიზე“ ლუიჯი კანი დაბრუნდებაო.

ტურინელებს კი თავიანთი საფიქრალი აქვთ — ოთხეული და ჩემპიონთა ლიგის საგზური. ამ მიზნის მისაღწევად „იუვემ“ ბოლო ათ ტურში მაქსიმალურად ცოტა ქულა უნდა დაკარგოს.

ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი გუნდებიდან „სტადიო სან პაოლოდან“ 3 ქულა მხოლოდ „რომამ“ წაიღო, დანარჩენებმა იქ ქულის აღებაც ვერ შეძლეს. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს „ნაპოლისთან“ სტუმრობას „ფიორენტინა“.

„იებს“ მასიმო გობი, ალესანდრო გამბერინი და მარტინ იორგენსენი არ ეყოლებათ. „ნაპოლი“ კი მარსელო ზალაიეტას მოისაკლისებს.

ქულების დაკარგვის უფლება „მილანს“ ნამდვილად აღარ აქვს. „როსონერი“ მეოთხეადგილოსან „ფიორენტინას“ ოთხი ქულით ჩამორჩება და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩენის საფრთხე სერიოზულად ემუქრება.

მილანელები „სამპდორიასთან“ საშინაო შეხვედრაში მარეკ იანკულოვსკის, იოან გურკუფის, ფილიპო ინძაგის, კაფუს, სერჟინიოსა და რონალდოს გარეშე იქნებიან, ხოლო „სამპდორიას“ ანტონიო კასანო აკლია.

„ვფიქრობ, დარჩენილ მატჩებს თავდაჯერებულად და შემართებით თუ ჩავატარებთ, მეოთხე ადგილზე გასვლას შევძლებთ. ბოლო 10 მატჩი ჩვენთვის ფინალივით უნდა იყოს და არ მგონია, იტალიაში ფინალების თამაში ჩვენზე უკეთ რომელიმე გუნდმა იცოდეს“ — განაცხადა „როსონერის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა.

ექვსქულიანი მატჩია „სტადიო არმანდო პიკიზე“, სადაც აუტსაიდერები „ლივორნო“ და „რეჯინა“ გაარკვევენ ურთიერთობას. საინტერესო შეხვედრა გველის „ენიო ტარდინიზეც“ — გადარჩენისთვის მებრძოლი „პარმა“ „პალერმოს“ მასპინძლობს.

სიცილიელთა გიჟმაჟმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ თავისი გუნდი და მისი მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი წინა ტურში „ინტერთან“ მარცხის შემდეგ კიდევ ერთხელ გააკრიტიკა საჯაროდ.

„გვიდოლინმა თქვა, რომ „ინტერთან“ იმაზე უკეთ ვერ ვითამაშებდით? მას შეუძლია, თავისი სახელით ილაპარაკოს, მაგრამ მე კლუბის სახელით ვიტყვი, რომ ბევრად მეტი შეგვეძლო. რაც შეიძლება, ჩქარა უნდა მოვაგროვოთ 40 ქულა და მერე მომავალ სეზონზე ვიფიქროთ“ — თქვა ძამპარინიმ.

„პარმას“ პრეზიდენტი ტომაზო გირარდი კი პირიქით, თავისი გუნდის ახალ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს აქებს. გუნდმა წინა ტურში „ლივორნოსთან“ პრინციპულ მატჩში ქულა აიღო და ამით თავად არგენტინელი სპეციალისტიც კმაყოფილი დარჩა.

ტომაზო გირარდი: „კუპერს ჯადოსნური ჯოხი არ აქვს, მაგრამ რამდენიმე დღეში მან უკვე დაატყო გუნდს თავისი ხელი და ეს მრავლისმეტყველია. „პალერმო“ მშვენიერი გუნდია და „ინტერთან“ მარცხის მერე გაბრაზებულია, მაგრამ ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი“.

**გიორგი კაკაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | 1:1 | | | 2:1 | 3:0 | 1:1 | 2:1 | 2:1 | 4:1 | 3:0 | 2:1 | 4:0 | | 2:0 | 2:0 | 3:2 | 2:0 | 1:0 | |
| 2 | რომა | 1:4 | | 2:2 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | | 1:0 | | 3:2 | 4:4 | | 3:0 | 2:0 | | 4:0 | 2:0 | | 2:0 |
| 3 | იუვენტუსი | 1:1 | 1:0 | | 2:3 | | 0:0 | 0:1 | 1:0 | 5:0 | 1:0 | | 1:0 | 0:0 | 2:0 | | 5:1 | | 4:0 | 3:0 | 1:1 |
| 4 | ფიორენტინა | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 0:1 | | 1:2 | 2:2 | | 3:1 | | 1:0 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 1:0 | | | 3:1 | 5:1 |
| 5 | მილანი | | 0:1 | 0:0 | 1:1 | | | | | 2:1 | 2:0 | 1:1 | 5:2 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 0:1 | |
| 6 | სამპდორია | 1:1 | | | 2:2 | 0:5 | | | 3:0 | 3:0 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 1:0 | 3:1 | | 3:0 | 3:0 | 3:0 | |
| 7 | უდინეზე | 0:0 | | 1:2 | | 0:1 | 3:2 | | 2:0 | 1:1 | 3:5 | 2:2 | 0:5 | 2:1 | 2:0 | | | 2:1 | 2:0 | 2:2 | |
| 8 | ატალანტა | | 1:2 | | 2:2 | 2:1 | 4:1 | 0:0 | | 1:3 | | 2:1 | 5:1 | 2:2 | 2:2 | | | 2:0 | 2:2 | 4:1 | 2:2 |
| 9 | პალერმო | 0:0 | 0:2 | | 2:0 | 2:1 | | 1:1 | | | | 2:2 | 2:1 | 1:1 | 2:3 | | 1:0 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 2:1 |
| 10 | ჯენოა | | 0:1 | 0:2 | 0:0 | 0:3 | 0:1 | 3:2 | 2:1 | 3:3 | | | 2:0 | | 1:3 | 2:1 | 1:1 | 1:0 | | | 2:0 |
| 11 | ლაციო | | | 2:3 | 0:1 | 1:5 | 2:1 | 0:1 | 3:0 | | 1:2 | | | 2:2 | | 2:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 3:1 |
| 12 | ნაპოლი | 1:0 | 0:2 | 3:1 | | | 2:0 | 3:1 | | | 1:2 | 2:2 | | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 1:3 | 0:2 |
| 13 | ტორინო | | 0:0 | 0:1 | | | 1:0 | | 1:0 | 3:1 | 1:1 | 0:0 | | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 4:4 | 2:2 | | 2:0 |
| 14 | სიენა | 2:3 | 3:0 | | 1:0 | 1:1 | 1:2 | | 1:1 | | | 1:1 | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 2:3 | | 0:0 | 3:0 | 1:0 |
| 15 | კატანია | 0:2 | | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 1:2 | 3:1 | 0:0 | | | | | | 1:0 | 0:0 | | 1:0 | 2:1 |
| 16 | ლივორნო | 2:2 | 1:1 | 1:3 | 0:3 | | 3:1 | 0:0 | 1:1 | 2:4 | 1:1 | 0:1 | 1:2 | | | 1:0 | | 1:1 | | 1:0 | |
| 17 | პარმა | | 0:3 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 2:3 | | | | | 2:0 | 2:2 | 2:2 | 3:2 | | 3:0 | 1:0 | 1:1 |
| 18 | რეჯინა | 0:1 | 0:2 | 2:1 | 0:0 | 0:1 | | 1:3 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 1:1 | | 1:3 | 4:0 | 3:1 | 1:3 | | | | 2:0 |
| 19 | ემპოლი | 0:2 | 2:2 | | 0:2 | 1:3 | | | 0:1 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 0:0 | 0:2 | 2:0 | | | 1:1 | | 4:1 |
| 20 | კალიარი | 0:2 | | 2:3 | | 1:2 | 0:3 | 0:1 | | 0:1 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 0:0 | 1:1 | | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | 28 | 20 | 7 | 1 | 54:17 | 67 | 13 | 2 | 0 | 34:9 | 41 | 7 | 5 | 1 | 20:8 | 26 |
| 2 | რომა | 28 | 18 | 7 | 3 | 50:25 | 61 | 11 | 2 | 1 | 31:14 | 35 | 7 | 5 | 2 | 19:11 | 26 |
| 3 | იუვენტუსი | 28 | 15 | 9 | 4 | 49:24 | 54 | 9 | 4 | 2 | 27:7 | 31 | 6 | 5 | 2 | 22:17 | 23 |
| 4 | ფიორენტინა | 28 | 14 | 8 | 6 | 43:27 | 50 | 8 | 3 | 3 | 26:15 | 27 | 6 | 5 | 3 | 17:12 | 23 |
| 5 | მილანი | 28 | 12 | 10 | 6 | 42:23 | 46 | 4 | 7 | 2 | 15:10 | 19 | 8 | 3 | 4 | 27:13 | 27 |
| 6 | სამპდორია | 28 | 12 | 6 | 10 | 39:35 | 42 | 8 | 5 | 1 | 26:11 | 29 | 4 | 1 | 9 | 13:24 | 13 |
| 7 | უდინეზე | 28 | 11 | 8 | 9 | 36:38 | 41 | 6 | 4 | 4 | 22:22 | 22 | 5 | 4 | 5 | 14:16 | 19 |
| 8 | ატალანტა | 28 | 9 | 10 | 9 | 44:42 | 37 | 6 | 6 | 2 | 31:20 | 24 | 3 | 4 | 7 | 13:22 | 13 |
| 9 | პალერმო | 28 | 9 | 9 | 10 | 36:43 | 36 | 6 | 6 | 2 | 19:14 | 24 | 3 | 3 | 8 | 17:29 | 12 |
| 10 | ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 32:40 | 35 | 6 | 3 | 5 | 17:18 | 21 | 3 | 5 | 6 | 15:22 | 14 |
| 11 | ლაციო | 28 | 8 | 10 | 10 | 33:35 | 34 | 7 | 2 | 5 | 20:16 | 23 | 1 | 8 | 5 | 13:19 | 11 |
| 12 | ნაპოლი | 28 | 9 | 6 | 13 | 37:43 | 33 | 7 | 3 | 4 | 19:15 | 24 | 2 | 3 | 9 | 18:28 | 9 |
| 13 | ტორინო | 28 | 5 | 16 | 7 | 30:35 | 31 | 4 | 7 | 2 | 17:13 | 19 | 1 | 9 | 5 | 13:22 | 12 |
| 14 | სიენა | 28 | 7 | 10 | 11 | 31:38 | 31 | 4 | 7 | 3 | 18:13 | 19 | 3 | 3 | 8 | 13:25 | 12 |
| 15 | კატანია | 28 | 6 | 9 | 13 | 24:36 | 27 | 6 | 4 | 3 | 14:9 | 22 | 0 | 5 | 10 | 10:27 | 5 |
| 16 | ლივორნო | 28 | 6 | 9 | 13 | 28:42 | 27 | 3 | 6 | 5 | 15:20 | 15 | 3 | 3 | 8 | 13:22 | 12 |
| 17 | პარმა | 28 | 5 | 11 | 12 | 33:44 | 26 | 5 | 5 | 4 | 22:19 | 20 | 0 | 6 | 8 | 11:25 | 6 |
| 18 | რეჯინა | 28 | 5 | 10 | 13 | 25:41 | 25 | 5 | 4 | 6 | 18:17 | 19 | 0 | 6 | 7 | 7:24 | 6 |
| 19 | ემპოლი | 28 | 6 | 7 | 15 | 23:41 | 25 | 4 | 5 | 5 | 15:16 | 17 | 2 | 2 | 10 | 8:25 | 8 |
| 20 | კალიარი | 28 | 6 | 6 | 16 | 25:45 | 24 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 | 1 | 3 | 10 | 11:29 | 6 |

# შინავატრას ფულით სიტიმ ანრის დაუმიზნა


სვენ გორან ერიკსონი


ტიერი ანრი

**„მანჩესტერ სიტის“** ტიერი ანრის ყიდვა სურს და ამ კლუბის მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონიც, მზადაა, ჩაუქ ფრანგში საჭირო თანხა გადაიხადოს — კლუბის მეპატრონემ, ტაქსინ შინავატრამ, ხომ სამომავალსეზონო ტრანსფერებისთვის 130 მილიონი ევროს ინვერსია აღუთქვა. თანხა შთამბეჭდავია და თუ მანჩესტერელები ფინანსურ ოპერაციებს მოხერხებულად შეასრულებენ, შეიძლება, „ბარსელონას“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა სათავისოდ დაიგულონ.

| 13145 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 1.60 | 2.00 |
| 13147 | ორჰუსი-რანდერსი | 1.60 | 2.00 |
| 13148 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1.50 | 2.10 |
| 13212 | ალტახი-შტურმი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | რიდი-მატერსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13215 | აუსტრია კერნტენი-ზალცბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13217 | ლინცერი-ტიროლი | 1.60 | 2.00 |
| 13231 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.50 | 2.10 |
| 13232 | თუნი-აარაუ | 1.60 | 2.00 |
| 13233 | ციურიხი-სიონი | 1.60 | 2.00 |
| 13256 | კალიარი-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13257 | ნაპოლი-ფიორენტინა | 1.80 | 1.90 |
| 13259 | ჯენოა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13261 | ემპოლი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13263 | პარმა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13264 | ლივორნო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13265 | ლაციო-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13267 | მილანი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13268 | კატანია-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13269 | ტორინო-უდინეზე | 1.80 | 1.90 |
| 13514 | რასინგი-ხეტაფე | 1.90 | 1.70 |
| 13515 | ვალენსია-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | მიდლსბრო-დერბი | 1.20 | 2.60 |
| 14004 | ნიუკასლი-ფულემი | 1.65 | 2.30 |
| 14124 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2.20 | 1.70 |
| 14126 | ოფი-ატრომიტოსი | 1.65 | 2.30 |
| 14127 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 2.00 | 1.80 |
| 14128 | არისი-ქსანთი | 1.45 | 2.40 |
| 14139 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14141 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.30 | 2.50 |
| 14143 | გენჩლერბირლინგი-გალათასარაი | 2.10 | 1.75 |
| 14144 | ჰორსენსი-ოლბორგი | 2.10 | 1.75 |
| 14145 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2.30 | 1.65 |
| 14147 | ორჰუსი-რანდერსი | 1.80 | 2.00 |
| 14148 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1.95 | 1.85 |
| 14212 | ალტახი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 14213 | რიდი-მატერსბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14215 | აუსტრია კერნტენი-ზალცბურგი | 2.40 | 1.45 |
| 14217 | ლინცერი-ტიროლი | 1.30 | 2.50 |
| 14231 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.30 | 2.50 |
| 14232 | თუნი-აარაუ | 1.85 | 1.95 |
| 14233 | ციურიხი-სიონი | 1.45 | 2.40 |
| 14256 | კალიარი-ატალანტა | 1.80 | 2.00 |
| 14257 | ნაპოლი-ფიორენტინა | 1.95 | 1.85 |
| 14259 | ჯენოა-ინტერი | 2.40 | 1.45 |
| 14261 | ემპოლი-იუვენტუსი | 2.40 | 1.45 |
| 14263 | პარმა-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14264 | ლივორნო-რეჯინა | 1.70 | 2.20 |
| 14265 | ლაციო-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14267 | მილანი-სამპდორია | 1.20 | 2.60 |
| 14268 | კატანია-სიენა | 1.70 | 2.20 |
| 14269 | ტორინო-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14514 | რასინგი-ხეტაფე | 1.80 | 2.00 |
| 14515 | ვალენსია-ბარსელონა | 2.00 | 1.80 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | მიდლსბრო-დერბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ნიუკასლი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | ტოტენჰემი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ოფი-ატრომიტოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | არისი-ქსანთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | გენჩლერბირლინგი-გალათასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ჰორსენსი-ოლბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ორჰუსი-რანდერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ალტახი-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | რიდი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | აუსტრია კერნტენი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ლინცერი-ტიროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | ბაზელი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | თუნი-აარაუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ციურიხი-სიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15256 | კალიარი-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15257 | ნაპოლი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15259 | ჯენოა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15261 | ემპოლი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15263 | პარმა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15264 | ლივორნო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | ლაციო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | მილანი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | კატანია-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | ტორინო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15514 | რასინგი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15515 | ვალენსია-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | მიდლსბრო-დერბი | 1.11 | 5.70 |
| 16004 | ნიუკასლი-ფულემი | 1.30 | 3.00 |
| 16124 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2.45 | 1.40 |
| 16126 | ოფი-ატრომიტოსი | 1.30 | 3.00 |
| 16127 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 1.95 | 1.65 |
| 16128 | არისი-ქსანთი | 1.25 | 3.40 |
| 16139 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.11 | 5.70 |
| 16141 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.22 | 3.40 |
| 16143 | გენჩლერბირლინგი-გალათასარაი | 2.20 | 1.50 |
| 16144 | ჰორსენსი-ოლბორგი | 2.20 | 1.52 |
| 16145 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2.45 | 1.40 |
| 16147 | ორჰუსი-რანდერსი | 1.65 | 2.05 |
| 16148 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1.80 | 1.85 |
| 16212 | ალტახი-შტურმი | 1.70 | 1.95 |
| 16213 | რიდი-მატერსბურგი | 1.52 | 2.20 |
| 16215 | აუსტრია კერნტენი-ზალცბურგი | 2.90 | 1.32 |
| 16217 | ლინცერი-ტიროლი | 1.17 | 4.10 |
| 16231 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.22 | 3.40 |
| 16232 | თუნი-აარაუ | 1.70 | 1.95 |
| 16233 | ციურიხი-სიონი | 1.25 | 3.40 |
| 16256 | კალიარი-ატალანტა | 1.62 | 2.05 |
| 16257 | ნაპოლი-ფიორენტინა | 1.95 | 1.65 |
| 16259 | ჯენოა-ინტერი | 3.60 | 1.23 |
| 16261 | ემპოლი-იუვენტუსი | 3.60 | 1.23 |
| 16263 | პარმა-პალერმო | 1.55 | 2.20 |
| 16264 | ლივორნო-რეჯინა | 1.40 | 2.55 |
| 16265 | ლაციო-რომა | 2.45 | 1.40 |
| 16267 | მილანი-სამპდორია | 1.12 | 4.60 |
| 16268 | კატანია-სიენა | 1.40 | 2.55 |
| 16269 | ტორინო-უდინეზე | 1.62 | 2.05 |
| 16514 | რასინგი-ხეტაფე | 1.55 | 2.20 |
| 16515 | ვალენსია-ბარსელონა | 2.30 | 1.48 |

## გოლი:წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | მიდლსბრო-დერბი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ნიუკასლი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17123 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ტოტენჰემი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ოფი-ატრომიტოსი | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17128 | არისი-ქსანთი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ანდერლეხტი-ბეერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | გენჩლერბირლინგი-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ჰორსენსი-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ორჰუსი-რანდერსი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ალტახი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | რიდი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | აუსტრია კერნტენი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ლინცერი-ტიროლი | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17232 | თუნი-აარაუ | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ციურიხი-სიონი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | კალიარი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17257 | ნაპოლი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17259 | ჯენოა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17261 | ემპოლი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17263 | პარმა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17264 | ლივორნო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ლაციო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17267 | მილანი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17268 | კატანია-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17269 | ტორინო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17514 | რასინგი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17515 | ვალენსია-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |

# ოქმი ზრდილობისთვის

## კოტე მახარაძის ტურნირზე ქალი მწვრთნელობს და შერმადინი ბობოქრობს

**ჰაპოელი 62:82 ბუდეველნიკი**
*10:25 23:20 14:14 15:23*

ჰაპოელი: ლევი (14), ბიტონი (8), ლისიცკი (8), ნეხაისი (14), იონა (6); გ. ბარბაქაძე (5), ჩლაიძე (7), აიდანი, კობლენცი
ბუდეველნიკი: კრავეცი (9), ბრიანცევი (8), ბალაშოვი (18), ორლენკო (5), სტეფანისი (4); ნერუში (7), გორბენკო (16), ზაბერჩენკო (8), კოულმენი (2), იაილო (5), კოვალენკო
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ასიფ ბაგიშოვი (აზერბაიჯანი)

**მაკაბი 89:56 სერვისი**
*29:11 12:6 20:25 28:14*

მაკაბი: ი. ბერიშვილი (7), ტულუში (2), სანიკიძე (20), ბარბაქაძე (17 ქულა, 15 მოხსნა), გ. შერმადინი (33 ქულა, 17 მოხსნა); ნიკოლაძე (10), სორდია, ს. შერმადინი
სერვისი: ფაშაევი (13), სარიევი (5), ნიფტალიევი (2), ხანზაევი (4), ახშიევი (18); ტურკნაში (4), აბულაძე (10), ჰამიდზადე, გაჯიევი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი



ებრაელთა მწვრთნელი შირა ჰელიონი

ზუსტად, აბა, როგორ გითხრათ, თუმცა დაახლოებით 80-იანი წლების ბოლოს იყო კიევის „სტროიტელი" თბილისში, როცა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩვენებური „დინამო" ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ამწარებდა. ახლა არც კიევურ გუნდს ჰქვია „სტროიტელი" და არც „დინამო" დახვედრია სახელგანთქმულ უკრაინელებს თბილისში საბრძოლველად.

კიევის „ბუდეველნიკი" ყველაზე დახვეწილი და ძლიერი გუნდია იმ ოთხეულიდან, რომლებიც კოტე მახარაძის თასის გასათამაშებლად სპორტის სასახლეში შეიყარნენ. მშვენიერი იდეის ავტორი ჩვენებური „მაკაბის" თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილია, რომელმაც სპონსორების დახმარებით ცნობილი ქართველი კომენტატორის სახელობის ტრადიციულ ტურნირს დაუდო გუშინ სათავე.

თბილისის „მაკაბი" თელ ავივის „ჰაპოელი", ბაქოს „ნტდ-სერვისი" და ზემოთხსენებული კიევის „ბუდეველნიკი" — აი, პირველი თბილისური ტურნირის მონაწილენი. გუშინ ნახევარფინალების დღე იყო და ფინალისტებიც გამოვლინდნენ. „ბუდეველნიკმა" ისრაელის გუნდს ნახევარი ძალით მოუგო, ისევე როგორც „მაკაბიმ" ბაქოელებს და დღეს გამარჯვებულები კოტე მახარაძის თასისთვის იბრძოლებენ. მანამდე კი მესამე ადგილისათვის მატჩი გაიმართება.

კიევის „ბუდეველნიკისთვის" თბილისური ტურნირი თან გასეირნება და თან უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტურისთვის მოსამზადებელი საშუალებაა. კიეველთა გამთამაშებელმა იური კრავეცმა გვითხრა — თბილისიდან პირდაპირ კრივოი როგში მივდივართ, „კრივბასთან" პრინციპული მატჩი გველისო. ამიტომაც იყო, უკრაინელთა მწვრთნელმა დიდი ნერვიულობის გარეშე ათამაშა თავისი გუნდი. ებრაელებთან მატჩში ევგენი მურზინმა სათამაშო დრო ძირითადად სათადარიგოებზე გადაანაწილა, გუნდის ლიდერების დატვირთვას კი მოერიდა — „ბუდეველნიკისა" და უკრაინის ნაკრების გამოცდილმა ცენტრმა, კიეველთაგან ყველაზე სახელიანმა ლეონიდ იაილომ ოდენ 8 წუთი ითამაშა და ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა, სპორტის სასახლეში შეკრებილი მცირე გულშემატკივრებისათვის რამდენიმე ლაზათიანი ილეთი ეჩვენებინა.

კიეველთა დამრიგებელი, ცხადია, შეგირდების ტრავმებს ერიდებოდა, მაგრამ ამას მაინც ვერ ასცდა. „ბუდეველნიკის" ამერიკელმა ლეგიონერმა ჯერონ კოულმენმა ებრაელ ნირ ნეხაისთან პაექრობისას ცხვირი გაიტეხა.

კიეველებს არც ჰქონდათ მოგებაზე სანერვიულო, რადგან მათი მეტოქე ისრაელის მესამე ლიგის გუნდი გახლდათ. თელ ავივის „ჰაპოელი" სამოყვარულო გუნდს უფრო ჰგავდა, რომელსაც საკმაოდ სიმპატიური ყმაწვილქალი შირა ჰელიონი მწვრთნელობს, ვინაც თამაშისას გვარიანად ინერვიულა, თუმც პროფესიონალ კიეველებთან რას გახდებოდა...

თელავიველებს საამტურნიროდ ორი ქართველი დაემატათ — ირაკლი ჩლაიძეს და გოგი ბარბაქაძეს ებრაელები აკვირდებიან და შესაძლოა, თან გაიყოლონ. ორივე ქართველი დამაჯერებლად გაირჯა, თუმც დიდი სათამაშო დრო მათთვის ებრაელებს არ მიუციათ.



გიორგი შერმადინი

მეორე ნახევარფინალიც იგივე სცენარით წარიმართა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქართველები მთელი მონდომებით ეკვეთნენ მეტოქეს და ჯამლეტ ხუხაშვილს არც უფიქრია, მისი გუნდის ლიდერი დაესვენებინა. როგორც წესი, გიორგი შერმადინმა 40 წუთი ითამაშა და აჩვენა კიდეც საუკეთესო სტატისტიკა (33 ქულა, 17 მოხსნა, 5 პასი), თუმც არანაკლებ იჩაუქეს საამტურნიროდ „მაკაბის" დამატებულმა ვიქტორ სანიკიძემ და დავით ბარბაქაძემ.

აზერბაიჯანელებს თავიდანვე შეეტყოთ, რომ ვერაფერს გახდებოდნენ — საკითხავი მხოლოდ ის იყო, რა სხვაობით იმარჯვებდა ქართული გუნდი და გაახარებდა თუ არა შთამბეჭდავი სტატისტიკით შერმადინი ჯამლეტ ხუხაშვილს. ჯამლეტ-ბატონი თითქმის ყველაფრით კმაყოფილი იყო, თუმც მატჩის სამდივნოს მაინც მიედავა, შერმადინს პასები დააკელითო. სხვა გუნდების მწვრთნელებმა კი ზრდილობის გულისთვის გამოართვეს მდივნებს თამაშის ოქმი და კიეველთა თავკაცს მგონი შიგ არც კი ჩაუხედავს...

დღეს, 19 საათზე საინტერესო ფინალი უნდა გამოვიდეს — თუ, რა თქმა უნდა, „ბუდეველნიკი" სრული სერიოზულობით მოეკიდა „მაკაბისთან" მატჩს.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

17 მარტი

**ვაშინგტონი 96:105 ატლანტა**
ვაშინგტონი: დანიელსი (8), სტივენსონი (13), ბატლერი (12 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ჯემისონი (25), ჰეივუდი (16); მეისონი (14), სონგაილა (4), იანგი (4), ბლეტჩი, მაგუაირი, პეჩეროვი
ატლანტა: ბიბი (23), ჯონსონი (18 ქულა, 10 პასი), უილიამსი (7), სმიტი (17), ჰორფორდი (12 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი); ჩილდრესი (16), ფაჩულია (13 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა), ლოუ (4), ვესტი (1), რიჩადსონი

**ინდიანა 110:98 ნიუ იორკი**
ინდიანა: დანლივი (36), გრეინჯერი (26 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ იორკი: რენდოლფი (21 ქულა, 14 მოხსნა), კროუფორდი (16)

**ორლანდო 104:90 კლივლენდი**
ორლანდო: ჰოვარდი (23 ქულა, 13 მოხსნა), ლუისი (21), თურქოღლუ (18)
კლივლენდი: ჯეიმსი (30 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ვესტი (16)

**მემფისი 98:80 შარლოტი**
მემფისი: ნავარო (21), [illegible] (19), მილერი (18 ქულა, 13 მოხსნა)
შარლოტი: ანდერსონი (17), დადლი (14)

**მინესოტა 99:90 კლიპერსი**
მინესოტა: ჯეფერსონი (22 ქულა, 14 მოხსნა), გომესი (19), მაკკანტსი (16)
კლიპერსი: მაგეტი (34), ტომასი (22)

**ნიუ ორლეანი 108:97 ჩიკაგო**
ნიუ ორლეანი: პოლი (37 ქულა, 13 პასი), სტოიაკოვიჩი (21 ქულა, 10 მოხსნა), ველსი (19)
ჩიკაგო: გორდონი (31), გუდენი (23 ქულა, 12 მოხსნა), დენგი (16), ჰიუზი (16)

**სან ანტონიო 91:93 ბოსტონი**
სან ანტონიო: ჯინობილი (32), პარკერი (17)
ბოსტონი: პირსი (22), გარნეტი (21), რონდო (20), კასელი (17)

**იუტა 96:79 ტორონტო**
იუტა: უილიამსი (21), კორვერი (17), ბუზერი (13 ქულა, 10 მოხსნა)
ტორონტო: კალდერონი (16), ნესტეროვიჩი (13 ქულა, 12 მოხსნა)

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 53 | 13 | 80,3 | *ჰიუსტონი* | 46 | 20 | 69,7 |
| *დეტროიტი* | 48 | 18 | 72,7 | ნიუ ორლეანი | 45 | 21 | 68,2 |
| *ორლანდო* | 45 | 24 | 65,2 | *ლეიკერსი* | 45 | 21 | 68,2 |
| კლივლენდი | 38 | 30 | 55,9 | *იუტა* | 45 | 24 | 65,2 |
| ტორონტო | 34 | 33 | 50,7 | ფინიქსი | 44 | 22 | 66,7 |
| ვაშინგტონი | 33 | 33 | 50,0 | სან ანტონიო | 44 | 23 | 65,7 |
| ფილადელფია | 33 | 34 | 49,3 | დალასი | 44 | 23 | 65,7 |
| ატლანტა | 29 | 38 | 43,3 | გოლდენ სტეიტი | 41 | 24 | 63,1 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 38 | 42,4 | დენვერი | 40 | 26 | 60,6 |
| ჩიკაგო | 26 | 40 | 39,4 | პორტლენდი | 35 | 32 | 52,2 |
| ინდიანა | 26 | 41 | 38,8 | საკრამენტო | 30 | 36 | 45,5 |
| შარლოტი | 24 | 43 | 35,8 | კლიპერსი | 21 | 45 | 31,8 |
| მილუოკი | 23 | 43 | 34,8 | მემფისი | 16 | 50 | 24,2 |
| ნიუ იორკი | 19 | 48 | 28,4 | მინესოტა | 16 | 50 | 24,2 |
| მაიამი | 11 | 54 | 16,9 | სიეტლი | 16 | 51 | 23,9 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*

# კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**
**ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი)**



**დასავლეთი**
**ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)**



ეს კვირა „ვაშინგტონ ვიზარდსმა" „ატლანტა ჰოქსთან" მარცხით კი გახსნა, მაგრამ წინა კვირაში სამიდან სამი თამაში მოიგო და აღმოსავლეთში საუკეთესო მოთამაშეც ამ გუნდიდან შეირჩა. დედაქალაქელებს კაგად დაეტყოთ ტრავმამოშუშებული კერონ ბატლერის მობრუნება, მაგრამ სანამ ის ფორმაში ჩადგება, „ჯადოქრებს" ანთაუნ ჯემისონი ლიდერობს და წინა კვირის გამარჯვებებში ლომის წილიც მისია. ჯემისონმა სამ თამაშში საშუალოდ 25,3 ქულა და 9,7 მოხსნა აგროვა და გუნდი მოგება-წაგებათა 50-პროცენტიან ზედაპირზე ამოაცურა.

დასავლეთის რჩეული კი „ფინიქს სანზის" ცენტრი ამარე სტუდემაიერი გახდა, ვისაც გუნდში ახლა უკვე შაკილ ონილიც ჰყავს, რომელსაც თავისი წილი ქულა-მოხსნები ერგება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეპოქის საუკეთესო ცენტრი უდგას გვერდით, სტუდემაიერი მაინც გუნდის უპირველესი მექულე და მომხსნელია და გასულ კვირაში ნაგროვები 32,0 ქულისა და 11,3 მოხსნის წყალობით მისმა „ფინიქსმაც" დაუმარცხებლად განვლო კვირა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია):**
კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ჯო ჯონსონი (ატლანტა), ანდრე იგუდალა (ფილადელფია), ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)



# ქუნთა ბიჭის ფაქიზი ფიქრები
## ნადალმა თავს მოწოდებისკენ მოუწოდა

**კაცები**
ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 3 589 000 $
**მესამე წრე**

**ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 7:6 6:7 7:6; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — მარკოს ბაღდატისი (18, კვიპროსი) 6:3 6:7 6:0; **გილერმო კანასი** (16, არგენტინა) — ხუან მონაკო (21, არგენტინა) 6:3 6:7 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (27, გერმანია) 6:3 6:2; **რიშარ გასკე** (8, საფრანგეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (28, არგენტინა) 6:2 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — კარლოს მოია (19, ესპანეთი) 6:3 6:4; **ჟო-ვილფრედ ცონგა** (17, საფრანგეთი) — პოლ-ანრი მატიო (14, საფრანგეთი) 7:6 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — დონალდ იანგი (აშშ) 6:1 6:3

**ქალები**
ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 100 000 $
**მესამე წრე**

**ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) — ტატიანა გარბინი (31, იტალია) 6:3 6:0; **ფრანჩესკა შიავონე** (13, იტალია) — ფლავია პენეტა (19, იტალია) 6:3 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (12, რუსეთი) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:0 6:3; **კეისი დელაკრუა** (ავსტრალია) — ტამირა პაშეკი (32, ავსტრია) 6:1 4:0 (უარი); **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — აი სუგიამა (27, იაპონია) 6:1 6:1; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (20, ესპანეთი) — ევგენია როდინა (რუსეთი) 6:3 7:5; **ლინდსი დევენპორტი** (24, აშშ) — იუნ-იან ჩენი (ტაივანი) 6:4 5:7 6:2; **მარიონ ბარტოლი** (6, საფრანგეთი) — ანგელიკ კერბერი (გერმანია) 6:3 7:6

იმის მოყოლას, რაც გუშინ გამთენიისას ინდიან უელსში მოხდა, ფავორიტთა მატჩების მიმოხილვით დავიწყებთ — აქამდე როგორღაც არ გვქონდა საშუალება ამა თუ იმ ბობოლას გამოსვლასა და სათამაშო ფორმაზე მოგვეთხრო და ამიტომ ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ მათ მზადყოფნას.

ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა და წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა რაფაელ ნადალმა მეოთხე წრეს უპრობლემოდ უწია, საათნახევარში მიანგრია ასევე ცაცია, მაგრამ გამოუცდელი მასპინძელი დონალდ იანგი. კალიფორნიის თაკარა მზის ქვეშ ესპანელი ჯერჯერობით მარჯვედ იქნევს ჩოგანს და ტიტულის დაცვას სერიოზულად უმიზნებს. თუმცა, მეორეს მხრივ, მალიორკელს აქამდე ძლიერი მეტოქე ჯერ არ შეხვედრია და თავის ამბიციების დამტკიცება მას ახლა მოუწევს. საამისოდ რაფას მშვენიერი შანსი შემდეგ შეხვედრაშივე მიეცემა, რადგანაც ჟო-ვილფრედ ცონგას ხვდება. თუ უკვე მიგავიწყდათ, შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ფრანგმა გაამწარა ესპანელი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში და თან როგორ — მსოფლიოს მეორე ჩოგანი პატარა ბავშვივით სამ სეტში მიჩოგნა და შეარცხვინა. ამიტომაც რაფას ფრანგთან დამდეგი შეხვედრისთვის მოტივაცია ნამდვილად არ აკლია და გამარჯვებისკენ ჩვეული სწრაფვის გარდა ამაყი ესპანელი იანვარში განცდილი დამცირებისთვის შურისძიებასაც ეცდება. სწორედ ამიტომ იყო, რომ პრესკონფერენციაზე ესპანელი მხოლოდ მომავალ მატჩზე საუბრობდა.

„ამ შეხვედრის მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებ. ავსტრალიაში დავრწმუნდი, რომ მის მოწოდებაზე თამაში ძალიან ძნელია, ამიტომ საკუთარს უფროს ფაქიზად უნდა მოვეკიდო და ბრეიკი არ უნდა გავაკეთებინო. თან ცოტა უფრო აგრესიულად თამაშს ვაპირებ, ვიდრე ავსტრალიაში" — კბილებს ილესავს ესპანელი.

მეოთხე წრემდე მოსვლა არც მეორე ბობოლა ნოვაკ ჯოკოვიჩს გასჭირვებია, მაგრამ ნადალისა არ იყოს, პირველი სერიოზული გამოცდა სერბს ახლა ელის, რადგანაც მას ძალიან ჯიუტ არგენტინელ გილერმო კანასთან მოუწევს დატაკება. ეს პატაგონიელი შარშან ინდიან უელსის მთავარი სენსაციის ავტორად იქცა, როცა პირველ წრეში მანამდე თითქმის შეუმუსვრელი როჯერ ფედერერი დაიფრინა. კანასი არც ახლა იტყვის გმირობაზე უარს, მით უმეტეს, რომ სათამაშო ფორმაც ხელს უწყობს. თუმცა საეჭვოა, ჯოკოვიჩს ნაადრევად გაგდებული ფავორიტის სტატუსი მაინდამაინც გულზე ეხატებოდეს — თანაც ავსრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ სერბს ხეირიანი არაფერი უქნია და ამიტომ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, რომ ფედერერისა და ნადალის კალიბრის მეჩოგნედ ტყუილად არ მიიჩნევა. ასე რომ, აქაც შეუპოვარი ჯახია მოსალოდნელი.

„გილერმო იმ ჩოგბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც იოლად არაფერს გითმობს და ყველა ბურთზე ბოლომდე იბრძვის. ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვიყო კონცეტრირებული, რომ მარტივი შეცდომები არ დავუშვა" — ასე ჩამოაყალიბა თავისი გამარჯვების ფორმულა ჯოკოვიჩმა.

კალიფორნიაში ორი მოულოდნელობაც მოხდა. პირველ რიგში სტანისლას ვავრინკა გამოვარჩიოთ, რომელმაც ზედიზედ მეორე განთესილი დაჩაგრა და ტომაშ ბერდიხის გზას გუშინ მარკოს ბაღდატისიც გაუყოლა. კვიპროსელმა ცუდად კი დაიწყო, მაგრამ მეორე სეტში შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და ანგარიშის გათანაბრება — აქ თითქოს კუნძულელის კლასს თავისი უნდა გაეტანა, მაგრამ ვავრინკა ადგა და გადამწყვეტ პარტიაში მეტოქეს კინკილა გეიმიც არ აღებინა.

მეორე მოულოდნელობას კი 32 წლის ვეტერანმა ჰიუნგ-ტაიკ ლიმ უავტორა. სამხრეთკორეელმა თითქმის სამსაათიან თრილერში დავიდ ფერერი დაჩაგრა და ესპანელს ჩემოდნები ნაადრევად ჩაალაგებინა. აქ სამივე სეტის ბედი ტაიბრეიკებზე გადაწყდა, რომელთაგან ორში აზიელმა. მეტი ნებისყოფა გამოიჩინა და ფერერი კალიფორნიიდან გააპანღურა.

გაცილებით წყნარად მიმდინარეობს ქალთა ტურნირი, სადაც ფავორიტები კვალავაც თითქმის უდანაკარგოდ მიიწევენ წინ. თუ ბადის ქვედა ნახევარში რუსი ბობოლები სვეტლანა კუზნეცოვა და მარია შარაპოვა ბობოქრობენ, ზედა ნახევარი ჯერჯერობით სერბული ნიშნით მიმდინარეობს — ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებენ და თუ რამე სასწაული არ მოხდა, ნახევარფინალში ერთმანეთს სწორედ ეს ორი უნდა დაეტაკოს. გუშინ კი ორივემ იოლად იხეირა — ტატიანა გარბინთან და აი სუგიამასთან მატჩებში სერბებს ხეირიანად ოფლიც კი არ მოუღვრიათ.

**ბახა ლომაშვილი**

# ეგვიპტე ქართულ დერბის მაინც ნახავს

**სოფო შაფათავამ** წარმატებით დაიწყო რუსეთში, სანქტ-პეტერბურგის ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე თამაში. ქართული ჩოგბურთელის პრიველი მეტოქე იყო კვალიფიკაციიდან წამოსული ურეიტინგო რუსი დარია გავრილოვა. სოფომ საწყისი პარტია 4:6 დათმო, მაგრამ მეორეში 7:5 იმარჯვა, ანგარიში გაათანაბრა და მესამე სეტში 6:0 გადაუარა მეტოქეს.

მეორე წრეში შაფათავა კვლავ კორტის მასპინძელს შეხვდება — ან მე-5 ნომრად განთესილ არინა როდიონოვას, ანაც ანასტასია პავლიუჩენკოვას.

ამასობაში გაირკვა, თუ ვინ იქნებიან ამ კვირის სხვა ტურნირებზე მოთამაშე ქართველი ჩოგბურთელების პირველი მეტოქეები.

საქართველოს საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიული რედინგის მაგარსაფარზე 25-ათასიანი შეჯიბრის პირველ წრეში 20 წლის სლოვაკ იარმილა გაიდოშოვას დაუპირისპირდება, ვინც ამ წუთისთვის რეიტინგში 160-ე ადგილზეა, თუმცა ორი წლის წინ პირველ ასეულში, კერძოდ კი, 64-ე პოზიციაზე ყოფნით იწონებდა თავს.

თუ გაიდოშოვას მოუგებს, ჩახნაშვილი შემდეგ მე-2 ნომრად განთესილ ჩეხ პეტრა ცეტკოვსკასა და რუს ალინა ჟიდკოვას შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ბერძნული პორტო რაფტის ჰარდზე 10-ათასიანი ტურნირი ტარდება და სოფო ქვაცაბაიას პირველ მეტოქედ 19 წლისა და კვალიფიკაციის 771-ე საფეხურზე მყოფი სლოვაკი მონიკა კოხანოვა ერგო, ვისთან გამარჯვების შემთხვევაშიც, ან მე-8 ნომრად განთესილ სლოვენიელ მიკა ურბანოვიჩს დაუპირისპირდება, ანაც ბერძენ ოლგა სარლას.

10-ათასიანი შეჯიბრია ეგვიპტური აინ ალსოხნას თიხნარზეც. მსგავსი ტურნირი წინა კვირაში ქაიროშიც გაიმართა და მაშინ იყო ალბათობა, რომ ორი ქართველი — მანანა შაფაქიძე და ოქსანა კალაშნიკოვა, ერთმანეთს ნახევარფინალში გადაჰყროდა. სამწუხაროდ, ქაიროში ჩვენებურები მეოთხედფინალში დამარცხდნენ, მაგრამ ეგვიპტის კორტებზე ერთმანეთთან შეხვედრას მაინც ვერ ასცდნენ — წილისყრამ ასე ინება და შაფაქიძე და კალაშნიკოვა აინ ალსოხნას შეჯიბრის პირველივე წრეში დაუპირისპირდებიან, მათ შორის მოგებული კი კვალიფიკაციიდან წამოსულ იტალიელ მარია-სოლ ბარბერისა და რუს ჟანა პანფილკინას შეხვედრაში გამარჯვებულზე გავა.

# კვირის სამი ვარსკვლავი

**გასული** კვირის საუკეთესო ჰოკეისტთა სამეულს „კალგარის" კაპიტანი ჯერომ იგინლა უდგას სათავეში. აწ უკვე მიწურულ შვიდდღეულში კანადელმა 8 ქულა [illegible] მიითვალა და თავის გუნდს ხაზიდან ორი შეხვედრა მოაგებინა. იანვარ-თებერვლის ჩავარდნის შემდეგ იგინლა ძველებურად ათამაშებს თავის „ალებს" ახლა ძალიან ესაჭიროებათ — „კალგარის" ხომ ის [illegible] უდგას, როცა საბოლოოდ უნდა გადაუწყდეს პლეი ოფში მოხვედრა-არმოხვედრის საკითხი. ყველაფერი უახლოეს 7-8 თამაშში გაირკვევა, რომლის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში კანადურ გუნდს საკუთარი დივიზიონის მოგება და კონფერენციაში [illegible] დამკვიდრება შეუძლია, რამდენიმე მარცხმა კი „ალებს" შეიძლება სეზონი დაგეგმილზე ადრე დაასრულებინოს — დღეისთვის ხომ „კალგარი" თავის ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში პირველ ადგილს იყოფს „მინესოტასა" და „კოლორადოსთან". ამდაგვარ [illegible] ბებში სწორედ რომ [illegible] ნლას [illegible] და იგინლაც [illegible] ლურად ეხმარება თავის გუნდს.

გასულ კვირას ჯერომმა თავისი სახელი სამუდამოდ ჩაწერა „კალგარის" ისტორიაში, რადგანაც „სენტ ლუისთან" შეხვედრაში „ალების" მაისურით რიგით 365-ე შაიბა შეაგდო და გუნდის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერად იქცა.

მეორე ვარსკვლავი „პიტსბურგის" მარჯვენაფლანგელი [illegible] კორას ერგო, რომელიც [illegible] კინის მხარდამხარ თამაშით [illegible] ვრად სარგებლობს და ბლომად ქულებს იხვეჭს. გასულ კვირას ჩეხმა 6 ქულა (3+3) დააგროვა, თანაც „პინგვინთა" ორივე შეხვედრაში გამარჯვების გოლი სწორედ მან შეაგდო. სეზონში კი სიკორამ 58 ქულა (25+33) მოაგროვა — თანაც აგერ უკვე ზედიზედ მეცხრე სეზონია, ჩეხს 25 ან მეტი შაიბა [illegible].

მესამე ვარსკვლავად კი „ფლორიდას" კარის დარაჯი ტომაშ ვოკოუნი დაასახელეს, რომელმაც „პანტერებს" სამივე შეხვედრა მოაგებინა — ამ მატჩებში ჩეხი კიპერი საშუალოდ 1,67 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 94,6 პროცენტს იგერიებდა. „ფლორიდამ" კი ზედიზედ 7 შეხვედრა მოიგო, რაც გუნდის რეკორდის გამეორება გახლავთ. მთლიანად სეზონში ვოკოუნი საშუალოდ 2,74 შაიბას უშვებს და დარტყმულის 91,7 პროცენტს იგერიებს, თან მის ანგარიშზე ოთხი „მშრალი" მატჩია.

**ბახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

17 მარტი

**მინესოტა 3:1 კოლორადო**
*1:0 1:1 1:0*
1:0 ბერნსი (9), 1:1 საკიკი (25), 2:1 რადივოევიჩი (30), 3:1 ველიო (60)

**ვანკუვერი 3:1 ფინიქსი**
*2:1 1:0 0:0*
1:0 ჰ. სედინი (1), 2:0 პაიეტი (13), 2:1 კარჩილიო (19), 3:1 ჰ. სედინი (34)

ფიგურული სრიალი

# გედევანიშვილისთვის მსოფლიო დღეს იხსნება

**გუშინ** შვედურ გიოტებორგში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ტურნირი ტრადიციულად წყვილებმა გახსნეს, ჩვენთვის კი თავისთავად ყველაზე მეტად საინტერესოა ქალთა შეჯიბრი, სადაც აგერ უკვე მერამდენე დიდრონ ჩემპიონატში გამოდის საქართველოს სიამაყე ელენე გედევანიშვილი.

კენტად მოსრიალე ქალები ტრადიციულად მოკლე პროგრამით იწყებენ, გედევანიშვილის გამოსვლას კი დღეს დაახლოებით 17 საათზე უნდა ველოდოთ.

ხელბურთი


გიორგი ქობელაშვილი

# ქართულ ცამეტს ესპანეთში მსხვილიძე დააკლდება

**დღეს** საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთის ქალაქ ლუკოლში გაემგზავრება და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენების მეტოქეები მასპინძელი ესპანელები, იტალიელები და სლოვაკები იქნებიან.

პირინეებზე ნაკრებს მეორე მწვრთნელი გიორგი ქობელაშვილი წაიყვანს, ვინც ამ დრომდე ავარჯიშებდა კიდეც ბიჭებს. ნაკრების თავკაცი გარი თურქია საბერძნეთშია, ათენში იმყოფება და ავადმყოფობის გამო მისი ესპანეთში ჩასვლა სათუოა, თუმც ბოლომდე ეს საკითხი გადაწყვეტილი ჯერაც არ არის. ესპანეთში კი ეს 13 ხელბურთელი წავა: გიგა ტორონჯაძე (სტუ-შევარდენი), გიორგი სამყურაშვილი („რიზე“, თურქეთი), ირაკლი ჩიქოვანი (სტუ-შევარდენი), გიორგი ჩიქოვანი (სტუ-შევარდენი), ლუკა ჩიხლაძე (სტუ-შევარდენი), გიორგი ფერაძე (სტუ-შევარდენი), ნიკა ჯორბენაძე (სტუ-შევარდენი), ნიკა სიმონიშვილი (სტუ-შევარდენი), ავთო ქლენტი (თბილისი), ვანო ქარდავა (თბილისი), ზურა მელქოშვილი (სტუ-შევარდენი), მიშა საჯაია (სტუ-შევარდენი), კოტე ჯანაშია (ქუთაისი). ნაკრებს ვერ დაეხმარება ერთ-ერთი ლიდერი რატი მსხვილიძე, ვინც ირლანდიაში გუნდის ვარჯიშზე ტვინის შერყევა მიიღო. რატი ნაკრების შეუცვლელი მოთამაშეა და უმისოდ თამაში გაჭირდება. ნაკრები უკვე ორი კვირაა, რაც ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ორჯერად ვარჯიშებზეა გადასული.

„საწვრთნელი შეკრება ნორმალურად გავიარეთ. ერთხელ თამაშის საშუალებაც მოგვეცა, სტუ-შევარდენს გავეჯიბრეთ. აქ უნდა ჩამოსულიყო თურქეთის ახალგაზრდული ნაკრები, მაგრამ ეს არ გამოვიდა. ესპანეთში რატი დაგვაკლდება, რაც ძალიან ცუდია. მსხვილიძე მთავარი მოთამაშეა. საერთოდაც, ძირითადის 7 კაცს სრულფასოვანი შემცვლელები თითქმის არ ჰყავს, მეტოქეები კი საკმაოდ ძლიერი გვეყოლება და ვნახოთ“ — ამბობს გიორგი ქობელაშვილი

**ლექსო მაისურაძე**

სუმო

# კოკაი კატიკოსს მიუახლოვდა

**ლევან ცაგურიას** ოსაკას ბაშოზე კატიკოსის (დადებითი ბალანსი) მოსაპოვებლად ერთი ორთაბრძოლის მოგებაღა სჭირდება. სუპერტურნირის მორიგ ბრძოლაში ჩვენებურმა ჰოკტორიკი დაჯაბნა და მეშვიდე მოგება მიითვალა. ქართველი სუმოისტი მორიგ შეხვედრას ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ტოჩიოძანთან გამართავს. ახალგაზრდა იაპონელი ახლა ნამდვილად შესაშურ ფორმაშია და ოსაკაში კინკილა ბრძოლა აქვს წაგებული, ისევე როგორც იოკოძუნა ჰაკუხოს. ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი კი იოკოძუნა ასასორიუა, ვინაც ათი მეტოქიდან ათივე დასცა.

ტოჩინოშინი შიკონათი ცნობილი ქართველი ლევან გორგაძე სუმოს რანგით მეორე, ძურიოს დივიზიონში ჭიდაობს. ლევანი მარტის ბაშოზე კოტაკაი დოჰიოსთან მესამედ დამარცხდა. მოგებაც შეეძლო, მაგრამ კონტრიერიში გამოეპარა. ახლა მისი მონაგარი მხოლოდ შვიდი გამარჯვებაა.

**ზურაბ მიგრიაული**

ავტორბოლა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil № 1 საავტომობილო ზეთი

# წითელი გუნდის შავი დღეები

## შენიანებს უნდა ურტყა, უცხოებს რომ ეშინოდეთ



**ალისფერ** „ფერარის“ შავი დღეები უდგას. საპირველფორმულო სეზონის დაწყების წინ უალტერნატივო ფავორიტად შერაცხულმა გუნდმა ავსტრალიაში, წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, სრული ფიასკო განიცადა და კრიტიკოსები მოიმრავლა. მათ შორისაა ძველი ფერარელი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა.

მიუხედავად იმისა, რომ კიმი რაიკონენმა და ბრაზილიელმა ფელიპე მასამ ძრავის პრობლემების გამო ვერ მიაღწიეს ფინიშამდე, ლეგენდარულ ავსტრიელს მიაჩნია, რომ მარტო ძრავა არაფერ შუაშია და თავად მძღოლებმაც უამრავი შეცდომა დაუშვეს. „რაიკონენი საერთოდ არ ჰგავდა მსოფლიოს ჩემპიონს — განუცხადა ლაუდამ გერმანულ „ბილდს“ — მისი მაყურებელი გაოგნებული და გაკვირვებული დავრჩი. მან საკუთარ თავს კომპრომატები გაუკეთა და მასაც არ იდგა იმ სიმაღლეზე, „ფერარის“ რომ ეკადრება.“

გაცილებით მკაცრია იტალიური პრესის შეფასებები. შეიძლება ითქვას, რომ სრულიად იტალია გაცოფებულია. ხუმრობა ხომ არ არის, ერის სიამაყე ჩაფლავდა, „ფერარის“ მრბოლებმა ფინიშამდეც ვერ მიაღწიეს.

„გაძეტა დელო სპორტი“ წერს, რომ „ეს იყო სრული ფიასკო წარმოუდგენელი შეცდომებით“. „კორიერა დელო სპორტი“ „სკუდერიას“ კატეგორიულ მოთხოვნას უყენებს: „ფერარი“, დაუყოვნებლივ გამოასწორეთ შეცდომები და მდგომარეობა!“

„ტუტოსპორტი“ წერს, რომ „მელბურნში „ფერარი“ განადგურდა. რაიკონენი საკუთარი თავის აჩრდილი იყო, ხოლო მასას ყურადღება ჰქონდა დაფანტული“. „ლა რეპუბლიკა“ კი გუნდიდან ჟან ტოდტის წასვლას უკავშირებს ყველაფერს: „ტოდტის გარეშე პირველივე კვირა შავად გათენდა.“

რაკი იტალიური პრესა განრისხებულია, ის საშინელია და უცხოს კი არა, თავისიანებსაც აღარ ინდობს. ასეა — შენიანებს უნდა ურტყა, უცხოებს რომ ეშინოდეთ.

**ბაჩა ლომაძე**

# ბრიატორემ დენისს ნიშნი მოუგო


ფლავიო ბრიატორე

**ავსტრალიის** დიდი პრიზის გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე წრეღა რჩებოდა, როდესაც „მაკლარენის“ ფინელმა პილოტმა ჰეიკო კოვალაინენმა რენოელ ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს გადაასწრო და თავისი გუნდი აღფრთოვანებაში მოიყვანა, თუმც სულ მალე პირიქით მოხდა — ესპანელმა დაიბრუნა დაკარგული პოზიცია და ახლა „რენოს“ ბანაკი გამხიარულდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი პილოტი ინგლისურმა და ფრანგულმა საჯინიბოებმა, ფაქტობრივად, ერთმანეთს გაუცვალეს — „მაკლარენში“ გატარებული კოშმარული სეზონის შემდეგ ალონსო ისევ „რენოში“ დაბრუნდა, ხოლო კოვალაინენი საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა.

ემოციების ასეთი ჭარბი დოზით გამოხატვაც ალბათ, ამით იყო გამოწვეული — როდესაც ფინელმა ესპანელს გადაასწრო, „მაკების“ შეფი რონ დენისი სიხარულს ვერ მალავდა, მაგრამ მერე კოვალაინენმა შეცდომა დაუშვა. შემთხვევით, სიჩქარის შემზღუდველ ღილაკს დააჭირა ხელი, ალონსო წინ გაუშვა და უკვე „რენოს“ თავკაც ფლავიო ბრიატორეს სიხარულის ჯერი დადგა.

„დიდ ეკრანზე ვხედავდი, თუ როგორ ხარობდნენ „მაკლარენის“ წარმომადგენლები და როგორ იქნევდა ხელებს დენისი, როდესაც ჰეიკომ ფერნანდოს გაასწრო. ამიტომაც, ზუსტად იგივე გავაკეთე, ალონსომ თავისი პოზიცია რომ დაიბრუნა“ — განუცხადა ბრიატორემ ესპანურ „დიარიოს“.

კოვალაინენის შეცდომასთან დაკავშირებით ძალიან გაკვირვებულია „ფერარის“ ესპანელი ტესტ-პილოტი მარკ ხენე: „გაკვირვებული ვარ, „მაკლარენმა“, დაახლოებით იმავე შეცდომის გამო, შარშან ტიტული დაკარგა, როდესაც ლუის ჰემილტონმა სეზონის ბოლო რბოლაში შემთხვევით სხვა ღილაკს დააჭირა თითი და ამის გამო თითქმის წუთი დაკარგა, რაც ჩემპიონობის დათმობად დაუჯდა. ახლაც რაღაც მსგავსი გამეორდა. „ფერარის“ ბოლიდებზე მსგავსი შეცდომები არ ხდება.“

**ბაჩა ლომაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაკიაომ მარკესიც დაამარცხა



## გახეთქილი წარბები და დახეთქილი გულები

**მენი პაკიაო** იყო და რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივედ. ფილიპინელმა ლას ვეგასში მსაჯების უმრავლესობის გადაწყვეტილებით დაამარცხა თავისი ალბათ ყველაზე პრინციპული მეტოქე ხუან მანუელ მარკესი და მექსიკელს პირველ მსუბუქ წონაში WBC-ს ტიტული წაართვა. თუმც აქ თავად ამ ტიტულს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა — ამ ბრძოლაში ფსონად პაკიაოს სახელი იყო დადებული და მანაც დაამტკიცა, რომ ქვედა წონებში კვლავაც უძლიერესია.

სანამ უშუალოდ ბრძოლის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, რომელიც მართლაც ნახვად ღირდა, ამ ორი მოკრივის დაპირისპირების წინა ისტორიაზე უნდა მოგახსენოთ ერთიორი სიტყვა. პაკიაო და მარკესი ერთმანეთს 4 წლის წინ შეხვდნენ და ისეთი დაძაბული, ფიცხელი და სისხლიანი კრივი გააჩაღეს, რომ მნახველს დღემდე არ დავიწყებია. მეტიც, ის ჯახი სულაც წლის ბრძოლად დასახელდა. 2004-ში პაკიაომ უკეთესად დაიწყო და უკვე პირველ რაუნდში მექსიკელი სამჯერ დაახეთქა ფიცარნაგზე. მაგრამ მაშინ მექსიკელმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და არა მარტო ფეხზე წამოდგომა და რაუნდის ჩამთავრება შეძლო, არამედ ინიციატივა ხელში აიღო და მომდევნო რაუნდების უმეტესობა მოიგო. შედეგად მსაჯებმა ფრე დააფიქსირეს. მოკრივეთა განმეორებითი ჯახი რამდენიმე თვეში უნდა გამართულიყო, მაგრამ მარკესის შტაბმა ამას თავი ვერ მოაბა და პაკიაოს პრომოუტერ ბობ არუმს ვერ შეუთანხმდა. შედეგად მექსიკელის საქმეები უკან-უკან წავიდა, ფილიპინელი კი აგერ, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივედ იქცა.

ასე რომ, პაკიაო-მარკესის მატჩრევანშის ლოდინი ოთხ წელიწადზე გაიწელა. თუმც ამ უქმეებზე ლას ვეგასში დატრიალებული ხორცსაკეპის ხილვის შემდეგ იმის თქმა ალალად შეიძლება, რომ ამ ბრძოლის ამდენ ხანს ლოდინი ნაღდად ღირდა. ფილიპინელი და მექსიკელი ისე ეკვეთნენ ერთმანეთს თითქოს, ეს ოთხი წელი არც ყოფილიყოს და თავიდანვე დაუნდობლად დაიწყეს ერთმანეთის ჟეჟვა.

მოკრივეები პირველ რაუნდში მეტ-ნაკლებად კიდევ იკავებდნენ თავს და ერთმანეთს ზვერავდნენ, თუმც მეორეში მექსიკელი გააქტიურდა და მეტოქე ზეწოლის ქვეშ მოაქცია. ამაზე პაკიაოს საკადრისი პასუხი აღმოაჩნდა და მესამე რაუნდმა უკვე მისი უპირატესობით ჩაიარა. მეტიც, ფილიპინელმა თავისი საფირმო, სასტიკი ცაციათი მარკესი დაანოკდაუნა კიდეც. თუმც ოთხი წლის წინ მარკესი სამმა ნოკდაუნმა ვერ შეაშინა და სულიერად არც ამას გაუტეხია — მეოთხე რაუნდში ისევ მექსიკელმა იყოჩაღა და პაკიაოს წარბი გაუხეთქა, რამაც ფილიპინელს მთელი დარჩენილი ბრძოლის განმავლობაში გვარიანი დისკომფორტი შეუქმნა. მაგრამ სიტუაცია ამ მხრივაც გათანბრდა, როცა მეშვიდე რაუნდში პაკიაომ მეტოქეს შემთხვევით თავი მოარტყა და მარცხენა თვალი დაუზიანა.

მოკლედ, მთელი ბრძოლა ასე გაგრძელდა. ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა და თუ რომელიმე დროებით უპირატესობას მოიპოვებდა, მეორე ვალში არ რჩებოდა.

ამიტომაც ეს ბრძოლაც ისე, დამთავრდა, როგორც ოთხი წლის წინ — მოკრივეს, გვარიანად დასისხლიანებულსა და გალახულს, თავი გამარჯვებულად მიაჩნდა და მოგების ნიშნად ხელებს მაღლა წევდა. ჰოდა, აქ გულშემატკივრების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ კიდევ ერთი ფრე დაფიქსირდებოდა. ისე, ეს ალბათ სამართლიანიც იქნებოდა, რადგანაც თვალში საცემი უპირატესობა არც ერთ მოკრივეს არ მოუპოვებია.

ყველაფერი კი მაინც სკანდალით დასრულდა, რადგანაც ამ ბრწყინვალე ბრძოლის ბედი საბოლოოდ ერთმა ქულამ გადაწყვიტა — მსაჯების აზრი გაიყო და სამიდან ორმა პაკიაოს მხარე დაიჭირა. აქედან ერთ-ერთმა მსაჯმა ფილიპინელის სასარგებლოდ 114:113 დააფიქსირა და ამ ეპიკური ჯახის გამარჯვებულიც სწორედ ამ ერთმა ქულამ გამოავლინა.

გასაკვირი სულაც არ არის, რომ ბრძოლის შემდეგ მარკესი უკმაყოფილო იყო.

„მე ჩემი თავი მიმაჩნია ჩემპიონად. სასაცილოა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. აქ ისევ მენის სახელმა გაჭრა, თორემ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მინიმუმ ფრეს მაინც დააფიქსირებდნენ. თუმც ამდენ ლაი-ლაის სჯობია, კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართოს და იქ საბოლოოდ დავამტკიცებ, რომ მენის ვჯობივარ."

ისე, ამ მოკირვეთა კიდევ ერთი ჯახის ნახვაზე უარს არავინ იტყოდა — არც გულშემატკივრები და არც კრივის სპეციალისტები. მაგრამ სულ სხვა განწყობაზეა პაკიაო, რომელსაც მარკესთან რინგზე კიდევ ერთხელ გასვლა სულაც არ ეხალისება.

„ეს უკვე მორჩენილი ამბავია. დავამტკიცე, რომ მასზე ძლიერი ვარ და ვისაც უნდა, იმან იყვიროს. ფაქტი სახეზეა, ჩემპიონი მე ვარ" — ასე მოკლედ მოჭრა ფილიპინელმა.

პაკიაომ უკვე მეოთხე წონაში მოახერხა ყველაზე პრესტიჟული ტიტულის მოგება და ახლა მეხუთეს უმიზნებს — ფილიპინელი წონის მომატებას და მსუბუქ წონაში გადასვლას აპირებს, სადაც WBC-ს ვერსიით ჩემპიონ დევიდ დიასთან დატაკება ამოუჭრია გულში.

**ბაჩა ლომაშვილი**



## დრაკონი ღრუბლებს ეთამაშება

**ექვსი** ერის პირველობის დასრულების შემდეგ რაგბის საერთაშორისო საბჭომ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. ექვსი ერის ტრიუმფატორმა უელსელებმა მეშვიდე ადგილიდან მეექვსეზე აინაცვლეს. „დრაკონებს" 2005 წლის შემდეგ არ ჰქონიათ ასეთი მაღალი კვალიფიკაცია და მაშინაც დაუმარცხებლად მოითამაშეს ექვსი ერი. ფრანგებმა კი ირბ-ს რეიტინგის არსებობის განმავლობაში მათთვის არნახულ სიღრმეში დაყვინთეს. „მამლები" მეშვიდე პოზიციაზე არიან. ისევ მესამეზეა მსოფლიოს თასზე მათი ორგზის გამლახავი არგენტინა.

ჩვენმა მარადიულმა მეტოქე რუსებმა კი რუმინელთა დამარცხებით ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლეს. „დათვებმა" სწორედ „მუხლის ფოთლებს" გაუცვალეს ადგილი.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | სამხრეთ აფრიკა | [illegible] |
| 2 (2) | ახალი ზელანდია | [illegible] |
| 3 (3) | არგენტინა | 87.42 |
| 4 (4) | ავსტრალია | 84.20 |
| 5 (5) | ინგლისი | 83.36 |
| 6 (7) | უელსი | 83.36 |
| 7 (6) | საფრანგეთი | 79.61 |
| 8 (8) | ირლანდია | 77.18 |
| 9 (10) | ფიჯი | 75.88 |
| 10 (9) | შოტლანდია | 74.92 |
| 11 (11) | იტალია | 73.57 |
| 12 (12) | სამოა | 71.61 |
| 13 (13) | ტონგა | 71.51 |
| 14 (14) | საქართველო | 67.83 |
| 15 (15) | კანადა | 67.25 |
| 16 (17) | რუსეთი | 67.07 |
| 17 (16) | რუმინეთი | 66.17 |
| 18 (18) | იაპონია | 65.35 |
| 19 (19) | აშშ | 64.68 |
| 20 (20) | ურუგვაი | 63.18 |
| 21 (21) | ესპანეთი | 61.01 |
| 22 (22) | პორტუგალია | 59.42 |
| 34 (34) | ჩეხეთი | 51.92 |



## ამბერის ტურნირი

**ნიცა.** საფრანგეთი. 14-28 მარტი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5, 0:1 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5, 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5, 0:1 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0, 0:1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5, 1:0 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |

*პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები*




## ამბერში ბავშვებმა გაილაღეს

**„სწრაფი** ჭადრაკის თამაში არ მსურდა, მითუმეტეს ანანდის წინააღმდეგ" — ასეთი აღიარება გააკეთა ვესელინ ტოპალოვმა ინდუსთან მატჩის შემდეგ. მაგრამ შიშის მიუხედავადაც ბულგარელმა მსოფლიო ჩემპიონს ორივე პარტია ყაიმით დაუსრულა და კმაყოფილიც დარჩა — „ანანდი სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონია და წინა ორივე შეხვედრაც მოეგო, ამიტომაც ვიცოდი, რომ გამიჭირდებოდა."

შედეგით უკმაყოფილო არც ინდოელი ჩანდა, რადგანაც მისმა მთავარმა კონკურენტებმა წააგეს და ამ ქულით ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდა.

დაფაზე დაუხედავ შეხვედრაში ვესელინს თეთრი ფიგურები ერგო და თამაში კატალონიური დებიუტით დაიწყო. დიდოსტატებმა მეხუთე-მეექვსე სვლაზე როქი გააკეთეს, მეფეები საიმედოდ გადამალეს და ლაზიერის ფლანგზე ერთმანეთს დაერივნენ. ანანდი b ხაზზე პაიკის გაყვანას შეუდგა, თუმც ტოპალოვმა წინ დიდი ბარიკადები აუგო და 59-ე სვლაზე ყაიმი შესთავაზა.

სწრაფ პარტიაში მოჭადრაკეებმა კარო-კანის დაცვა გაითამაშეს. ჩერ ანანდი გააქტიურდა, თუმც ერთ მომენტში შეცდა და მეტოქის ორი ეტლი გაეპარა. ტოპალოვის შეტევებმა ქიშებით გასაქანი არ მისცეს ინდოელთა მაჰარაჯას და 47-ე სვლაზე ზავზე დაითანხმეს.

17 წლის დიდოსტატებმა, მაგნუს კარლსენმა და სერგეი კარიაკინმა თითო ქულა გაცვალეს. თვალხუჭუნა პარტია ნორვეგიელმა მოიგო, სწრაფი კი უკრაინელმა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 4 |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი | 3,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 3,5 |
| 4. | ლევონ არონიანი | 3,5 |
| 5. | მაგნუს კარლსენი | 3,5 |
| 6. | სერგეი კარიაკინი | 3 |
| 7. | შაჰრიარ მამედიაროვი | 3 |
| 8. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 2,5 |
| 9. | ბორის გელფანდი | 2,5 |
| 10. | ვლადიმირ კრამნიკი | 2,5 |
| 11. | პეტერ ლეკო | 2,5 |
| 12. | ლუკ ვან ველი | 2 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge